

16/03/2026



MES 2 26 0000314227

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 27 თებერვალს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=88067311136>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნია გუგუნავა – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სოფიკო ბექირაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ქეთევან ჯანელიძე

დავით კუპატაძე

შალვა ზაზაძე

თამარ ძველაია

თამარ უთნელიშვილი

ქეთევან ღვანიძე

მაია გრიგალაშვილი

ნანა შათირიშვილი

ტიტე ბოლქვაძე

ირმა წამალაძე

მედეა ზურაბიშვილი

ქეთევან გელაშვილი

მანანა ბერიძე

თინათინ მეფარიშვილი

ნინო გორგოშაძე

შორენა ხუბუნაია

ნათია მაწკეპლაძე

მაია ხურცილავა

ნანა ხითარიშვილი

ნანა ვერულაშვილი

ხათუნა მისაია

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი – შალვა კირთაძე;

პრორექტორი – ეკატერინე გაჩეჩილაძე;

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი – სერგო სვანაძე;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი – თეა კორძაძე;

პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი – გიორგი ოკრიბელაშვილი;

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი – ნანა შარაბიძე.

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრი

ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – რუსუდან დიასამიძე;

პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი – დავით ჩხაიძე;

სასწავლო პროცესის მენეჯერი – მაია დავითიანი.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბსუ-ს რექტორი – ტიტე არიშიძე;

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი – ბადრი გეჩბაია;

ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი – ჟანა ჯიბლაძე;

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი – ჯილდა აბაშიძე;

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი – მამუკა გოგელია.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის (სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება) პირველ საკითხად განხილვას. დაწესებულებების წარმომადგენლებმა დააფიქსირეს თანხმობა.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ შუამდგომლობას.

განახლებული დღის წესრიგი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს ასევე წარუდგინა ორი ტექნიკური შინაარსის შუამდგომლობა, რომლებიც მომზადდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემთა ბაზების გადამოწმების შედეგად მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პირველი შუამდგომლობა შეეხებოდა სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამაში კვალიფიკაციის ნაწილში ცვლილების შეტანას, ასევე, უნივერსიტეტის სტატუსის ცვლილებიდან გამომდინარე სახელწოდების კორექტირებას, ხოლო მეორე – შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი „იმედის“ ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები აღნიშნულ შუამდგომლობებთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 8 სექტემბრის N1030617 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 8 სექტემბრის N1030617 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 218076542) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება“. ცვლილება განხორციელდეს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში და გადაწყვეტილების

მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 20 თებერვლის №199371 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 20 თებერვლის №199371 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს (ს/კ: 206156817) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი“. გადაწყვეტილების N199371 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 2**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 თებერვალი.

პირველი საკითხი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავტორიზაციის ვიზიტის განხორციელება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტის პირობების შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ჭრილში, მათ შორის წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სასწავლო გარემოების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების შესაბამისობის შემოწმება მოქმედ ავტორიზაციის სტანდარტებთან.

ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა შესაბამისი ბრძანება, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ოფიციალური ვებგვერდი და მასზე განთავსებული ინფორმაცია, ასევე დაწესებულებაში ჩატარებული ბოლო ვიზიტის შედეგები, მათ შორის დასკვნა და მიღებული საოქმო გადაწყვეტილება.

ვიზიტამდე ონლაინ პლატფორმის გამოყენებით გაიმართა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო მონაწილეებს ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის შესაბამისად დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასებისთვის საჭირო მტკიცებულებებისა და დოკუმენტების სია, ინტერვიუების ეფექტიანად ჩატარებისთვის შემუშავებული კითხვები და ჯგუფის წევრებს შორის გადაანაწილა შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ასევე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია; გაიმართა სამუშაო შეხვედრები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან; განხორციელდა სასწავლო სივრცეების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება.

შეფასების პროცესში ჩართული იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტიც. მისი შეფასებით სსიპ აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირება მკაფიოდ არის გამიჯნული საუნივერსიტეტო სისტემისგან. პროგრამები რეგულირდება პროფესიული განათლებისთვის დამახასიათებელი ნორმებითა და სტანდარტებით, ხოლო მართვითი და აკადემიური გადაწყვეტილებები სრულად შეესაბამება მოქმედ პროფესიულ ჩარჩოს და არ ქმნის ინსტიტუციურ შეუსაბამობას. მასწავლებელთა საქმიანობის მოცულობა განსაზღვრულია რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით და სრულად შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებს. კვირეული სამუშაო დრო არ აღემატება დადგენილ მაქსიმუმს, ხოლო დატვირთვის ორგანიზება არ ატარებს ფორმალურ ხასიათს და არ იწვევს ფარულად გაზრდილ სამუშაო ინტენსივობას. პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს შორის დაცულია აღრიცხვისა და ადმინისტრირების მკაფიო გამიჯვნა. თითოეულ სისტემაში

შესრულებული საათები დამოუკიდებლად აისახება შესაბამის დოკუმენტაციაში და არ ფიქსირდება ერთი სისტემის რესურსების მეორის ხარჯზე გამოყენების პრაქტიკა. ორი საგანმანათლებლო სისტემის პარალელური განხორციელება არ აისახება სწავლების ხარისხზე. მასწავლებელთა ჩართულობა უზრუნველყოფს საკმარის კონტაქტურობას სტუდენტებთან, დროულ უკუკავშირსა და შეფასებას, ხოლო პროფესიულ პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტი სრულფასოვნად ხორციელდება და არ ზიანდება დატვირთვის ფაქტორით. ხელშეკრულებითი ურთიერთობები ხასიათდება გამჭვირვალობითა და სიცხადით. პროგრამების ფარგლებში გამოყენებულია ცალკე ან მკაფიოდ დიფერენცირებული ხელშეკრულებები/დანართები, რომლებშიც დეტალურად არის განსაზღვრული პროგრამის შინაარსი, მოდულები და საათობრივი დატვირთვა.

სწავლებისა და შეფასების პროცესში გამოყენებულია პროფესიული განათლების სპეციფიკის შესაბამისი მეთოდები და ინსტრუმენტები. სწავლების მოდელი ორიენტირებულია პრაქტიკულ საქმიანობაზე და არ იკვეთება აკადემიური სწავლების არასათანადო დომინირება. რესურსების მართვა ხორციელდება ბალანსირებულად. საერთო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება არ ზღუდავს პროფესიული პროგრამების განხორციელებას და რესურსების გაზიარება ხდება ისე, რომ არცერთი საგანმანათლებლო სისტემა არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითად დასახელდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის N158 დადგენილებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება“, რომლის დანართს წარმოადგენს დაწესებულების „ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებით, ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით სარგებლობის წესები“, რომლითაც რეგულირდება: ბიბლიოთეკის მკითხველის რეგისტრაცია, ბიბლიოთეკის მკითხველის უფლებები და ვალდებულებები, წიგნის გატანა-დაბრუნების წესები და მკითხველის პასუხისმგებლობა წესების დარღვევისათვის. აღნიშნული წესი გამოკრულია საბიბლიოთეკო (სამკითხველო) სივრცეში, სადაც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები მოსარგებლეთათვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ნებადართულია სასწავლო მასალების ამობეჭდვა ან/და ასლის გადაღება. ბიბლიოთეკა განთავსებულია ი. ჭავჭავაძის 21 მდებარე შენობის მესამე სართულზე, ხოლო ცენტრალური ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში. დაწესებულებას პროფესიული განათლების ცენტრში ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი 2 ბიბლიოთეკარი, რომლებიც ახორციელებენ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და სტრატეგიულ რესურსს. წიგნადი ფონდის სიდიდითა და მრავალფეროვნებით იგი ერთ-ერთი უმდიდრესია საქართველოში და მოიცავს დაახლოებით 800 000 ბეჭდურ ერთეულს, რაც სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში მითითებულ ლიტერატურას და მუდმივად განახლებადია. ბიბლიოთეკა პასუხობს თანამედროვე საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მოთხოვნებს, აერთიანებს ტრადიციულ და ინოვაციურ მახასიათებლებს და სრულად ემსახურება სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის საჭიროებებს. იგი ფუნქციონირებს კვირაში ექვსი დღე (ორშაბათი–შაბათი, 09:00–19:00). სივრცობრივი ინფრასტრუქტურა მოიცავს 14 სამკითხველო დარბაზს 450 ადგილით, მათ შორის XVIII კორპუსში (ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №21) – 20 ადგილს. დამატებით მოწყობილია ჯგუფური და ინდივიდუალური სამუშაო ოთახები ონლაინ დაჯავშნის შესაძლებლობით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია უსადენო ინტერნეტით (WiFi), კომპიუტერებითა და სკანერებით. საცავი დაცულია თანამედროვე გაზით ავტომატური ხანძარქრობის სისტემით (NOVEC 1230). ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც ბარათული (ანბანური, სისტემატური და საგნობრივი), ასევე ელექტრონული კატალოგი. ელექტრონული კატალოგი (ILS)

დაფუძნებულია MARC21 სტანდარტზე და მოიცავს 100 000 ჩანაწერს; უზრუნველყოფს კატალოგიზაციას, ინვენტარიზაციას, ცირკულაციას, ანგარიშგებასა და OPAC-ს. ინტეგრირებულია გუტენბერგის სრულად გაციფრებული ბიბლიოთეკა და Google Search „ერთი ფანჯრის“ პრინციპით. ბიბლიოთეკას აქვს ორენოვანი ვებ-გვერდი (<https://library.atyu.edu.ge/home>), სადაც განთავსებულია სრული ინფორმაცია, ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები. ელექტრონული რესურსები მოიცავს 6000 ელექტრონულ წიგნს, აუდიო-ვიდეო მასალებსა და პერიოდულ გამოცემებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის სივრცეში, ასევე მის მიღმა. 2024 წლის თებერვლიდან ბიბლიოთეკა სარგებლობს KORTEXT Premium პლატფორმით, რაც უზრუნველყოფს ყველა დანიშნულ ელ-წიგნზე ერთიან წვდომას, მობილური და დესკტოპ ვერსიით ონლაინ და ოფლაინ რეჟიმში. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე (მათ შორის ELSEVIER და EBSCO – ნებისმიერი ლოკაციიდან), ატარებს ელექტრონული ბაზების გამოყენების ტრენინგებს და ახორციელებს ბიბლიოთეკათშორის აბონემენტს (Interlibrary Loan). მოქმედებს წიგნების ელექტრონული შეკვეთის სისტემა სასურველ სამკითხველო დარბაზში. 2025 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ევროპის ათ ქვეყანას შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ დასახელდა მწვანე პოლიტიკის წარმატებული განხორციელებისთვის. ბიბლიოთეკა პერმანენტულად მონაწილეობს კვლევებსა და მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასებაში, რაც უზრუნველყოფს სერვისების უწყვეტ განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ვიზიტისა და გასაუბრებების ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტებმა ბიბლიოთეკა შეაფასეს როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე ფუნქციური და მხარდამჭერი სივრცე, გამოხატეს მაღალი კმაყოფილება როგორც მატერიალური, ისე ციფრული რესურსებით და დაადასტურეს პოზიტიური, სანდო და სტუდენტზე ორიენტირებული გარემო.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 4.1.1.3 – ვიზიტის დროს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქციის ანალიზმა აჩვენა, რომ მისთვის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობა ფუნქციურად სცდება მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს და მოიცავს ისეთ პროცესებში ჩართულობას, როგორცაა: პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა; სწავლის შედეგების დადასტურება-აღიარება; მობილობის პროცესის წარმართვა; პროფესიული მასწავლებლების მიერ შემუშავებული ახალი სასწავლო ლიტერატურისა და მასალის განხილვასა და სწავლებისათვის მათი შესაბამისობის დადგენაში მონაწილეობა (ვალიდაცია); პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კვალიფიკაციისა და ცოდნა-უნარების დადასტურებაში ჩართულობა უფლებამოსილების ფარგლებში.

ადგილზე დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ხელმძღვანელობს საკვალიფიკაციო კომისიას, რომელიც სწავლობს სტუდენტების მონაცემებს, შედეგების დადასტურების შესახებ ინფორმაციას და ადგენს კვალიფიკაციის მინიჭებისათვის წარსადგენ სიებს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა დოკუმენტურმა ანალიზმა და გასაუბრებებმა აჩვენა, რომ პრაქტიკაში ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია სცდება მონიტორინგისა და შეფასების როლს და მოიცავს პროცესებში ჩართულობას შემსრულებლის სტატუსით, მათ შორის საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარის ფუნქციის შესრულებას.

აღნიშნული პრაქტიკა, ადმინისტრაციის განმარტებით, ემსახურება პროცესის ხარისხიანად წარმართვას და დამატებითი კონტროლის უზრუნველყოფას, თუმცა იგი ეწინააღმდეგება ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის პრინციპს და ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ როლთა მკაფიო გამიჯვნის მოთხოვნას.

შეფასების მტკიცებულებების შერჩევითი ანალიზისას ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა შეფასების უწყისებებში ადმინისტრაციული ხასიათის ხარვეზები, მათ შორის შემაჯამებელი შეფასებების არასრული ან არათანმიმდევრული ასახვა, ტექნიკური ხარვეზების ფონზე.

ექსპერტთა მიერ ჩატარებული დამატებითი მოკვლევის შედეგად წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა დაადასტურა, რომ აღნიშნულ შემთხვევებში პროფესიულ სტუდენტებს რეალურად ჰქონდათ მიღწეული და დადასტურებული კონკრეტული სწავლის შედეგები. შესაბამისად, გამოვლენილ ხარვეზებს არ გამოუწვევია შეფასების შედეგების შეცვლის ან გაცემული კვალიფიკაციების ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენების საჭიროება. თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, აღწერილი გარემოებები მიუთითებს შეფასების ადმინისტრირების და შიდა ვერიფიკაციის მექანიზმების არასაკმარის მოცულობაზე და ადასტურებს ინტერესთა კონფლიქტის არსებობას ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის განხორციელებისას.

ექსპერტთა რეკომენდაციაა განხორციელდეს:

- ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა სასწავლო პროცესის განხორციელებისა და საკვალიფიკაციო გადაწყვეტილებების მიღებისგან, უპირველესად ეს უნდა განხორციელდეს თანამდებობრივი ინსტრუქციის ცვლილებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის როლის გადახედვა ინტერესთა კონფლიქტის სრულად გამოსარიცხად;
- შეფასების სისტემის, შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესების სისტემური გაუმჯობესებისათვის გამლიერებული ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვა.

ინდიკატორი 4.1.1.3 შეფასდა, როგორც არა დამაკმაყოფილებელი. დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 წლის 13 თებერვალს არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს (წერილი N MES 4 26 0000165405 16/02/2026), აღნიშნულ წერილს ახლავს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“ დამტკიცებული N169 §47(ცვლილება 2026 წლის 13 თებერვალი ბრძ.29 §19), რომლის თანახმად დაწესებულება მოიყვანს აღნიშნულ საკითხს შესაბამისობაში: განახორციელებს ცვლილებებს აწესებს პროფესიული განათლების ცენტრის დებულებაში, სტრუქტურაში და პერსონალის სამუშაოსა და საქმიანობის აღწერილობაში, ასევე ცენტრის პერსონალის თანამდებობრივ ინსტრუქციებში, დოკუმენტაცია უნდა გადამუშავდეს ისე, რომ გამოირიცხოს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციების ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადად განისაზღვრა 3 თვე კერძოდ 2026 წლის 11 თებერვლიდან 2026 წლის 11 მაისამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიცვალა ინდიკატორის შეფასება და შეუსაბამობიდან გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორთან 5.1.2.1-თან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 13 აგვისტოს დასკვნა (N5004862725), რომლის მიხედვითაც ი. ჭავჭავაძის გამზირის 21-ში მდებარე მე-18 კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა და მდგრადობა დამაკმაყოფილებელია და შენობა უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის. თუმცა, სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს გაცემული ანგარიშის (NBI-187) თანახმად, ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებს, კერძოდ, საქართველოს მთავრობის #52 და #370 დადგენილებებით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და პირობებს. ხარვეზების გამოსასწორებლად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო რექტორის 2025 წლის 29 სექტემბრის N169 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, სადაც სამუშაოების დასრულების თარიღად 2026 წლის 30 მარტი განისაზღვრა. ექსპერტთა მიერ განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დერეფნებში განთავსებულია ცეცხლმაქრები შესაბამისი ინსტრუქციებით, საევაკუაციო გეგმები და ცხელი ხაზის ნომერი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დასკვნის პროექტის მომზადების ეტაპზე ინდიკატორი შეფასდა მეტწილი

შესაბამისობით. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ 2026 წლის 13 თებერვალს წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (წერილი N MES 4 26 0000165405), რომელსაც თან ახლდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში შესული ცვლილება (2026 წლის 13 თებერვლის ბრძანება N29 §19). განახლებული გეგმის მიხედვით, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ვადამ გადაიწია და განისაზღვრა 2026 წლის 18 სექტემბრამდე. ვადის გახანგრძლივების გამო, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და მეტწილი შესაბამისობის ნაცვლად განისაზღვრა ნაწილობრივი შესაბამისობით. ამასთან, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება გეგმაში მითითებულ შესრულების ვადებში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 3.1.1.4 – რეკომენდებულია პროფესიული სტუდენტის უფლებების შესახებ ჩანაწერის ასახვა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. აღნიშნული რეკომენდაცია მიმართულია სამართლებრივი სიცხადის გაძლიერებისა და სტუდენტის უფლებების დაცვის მექანიზმების დამატებითი ფორმალიზებისკენ, რაც კიდევ უფრო გაამყარებს სტუდენტსა და დაწესებულებას შორის ურთიერთობის გამჭვირვალობას. ექსპერტთა შეფასებით, რეკომენდაციის შესრულება ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერებას და პრაქტიკის სრულ შესაბამისობაში მოყვანას ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.1.1.2 – გასაუბრებისას პროფესიული განათლების ცენტრის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათი რაოდენობა არ ყოფნის საქმის მოცულობას. ეს ეხება კონკრეტულად ხარისხის სამსახურს და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებს. რეკომენდებულია განხორციელდეს დამატებითი მოკვლევა და დადგინდეს თანამშრომელთა რეალური საჭიროებები.

ინდიკატორი 2.4.2.2 რეკომენდებულია:

- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების მკაფიოდ გამოიჯვანა რეგულაციის დონეზე;
- რეგულაციის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის როლის დაზუსტება, როგორც მონიტორინგისა და შემფასებლის, და არა სასწავლო პროცესის უშუალო მონაწილის/შემსრულებლის;
- ვერიფიკაციის პროცედურების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის პროცესების უფრო სიღრმისეულ, თანმიმდევრულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შემოწმებას, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის სათანადო დოკუმენტირებისა და გადამოწმების ნაწილში. რაც ხელს შეუწყობს შეფასების ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესებას, ტექნიკური ხარვეზების პრევენციას და შეფასების შედეგების სანდოობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ 2026 წლის 13 თებერვალს წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც თან ახლდა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ შესული ცვლილებები (ბრძანება N29 §19). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა ინდიკატორებისა და სტანდარტების შეფასებების კორექტირება. ინდიკატორთან 5.1.2.1 (სახანძრო უსაფრთხოება) მიმართებით, დაწესებულებამ სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრა 2026 წლის 18 სექტემბერი. ვინაიდან შესაბამისობაში მოყვანის პერიოდმა ჯამურად 12 თვე შეადგინა, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ინდიკატორის შეფასება

მეტწილი შესაბამისობიდან გადავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაში. შესაბამისად, მეხუთე სტანდარტის საბოლოო შეფასებად განისაზღვრა ნაწილობრივი შესაბამისობა. რაც შეეხება ინდიკატორს 4.1.1.3, წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, დაწესებულება 2026 წლის 11 მაისამდე განახორციელებს ცვლილებებს პროფესიული განათლების ცენტრის დებულებაში, სტრუქტურასა და პერსონალის სამუშაო აღწერილობებში. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას. ვინაიდან დაწესებულებამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის მკაფიო ხედვა და კონკრეტული ვადები, ინდიკატორი შეუსაბამობის ნაცვლად შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რამაც მეოთხე სტანდარტის შეფასების მეტწილ შესაბამისობაში გადასვლა განაპირობა.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებას მკაფიოდ აქვს გააზრებული საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში. უნივერსიტეტის მისია სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებთან და ორიენტირებულია შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ინსტიტუცია პასუხისმგებლობით ეკიდება ქალაქის, რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, რაც გამოიხატება აკადემიური საზოგადოების, დარგის სპეციალისტებისა და დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების პროცესში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია როგორც ფიზიკურ სივრცეში, ისე ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას.

ინსტიტუციური განვითარების საფუძველს წარმოადგენს ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, ხარისხზე ორიენტაციასა და მრავალფეროვნების პატივისცემას. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანასწორობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სრულფასოვან ინტეგრაციას სასწავლო გარემოში. სტრატეგიული ხედვა მიმართულია ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებისკენ, რაც აძლიერებს ინსტიტუციის საერთაშორისო პერსპექტივას და ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალს რეალურ სამუშაო გარემოში.

უნივერსიტეტში დანერგილია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მყარი მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება 2020 წელს დამტკიცებულ პოლიტიკასა და პროცედურებს. დაგეგმვის პროცესი ციკლური ხასიათისაა და მოიცავს შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარებისა (2021-2027 წწ) და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს. აღნიშნული დოკუმენტები მუშავდება თანამონაწილეობითი პრინციპით, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მოლოდინები. თითოეული სტრატეგიული მიზანი დაშლილია კონკრეტულ ამოცანებად, რომელთაც ახლავს შესრულების რეალისტური ვადები, ინდიკატორები და საჭირო რესურსების ჩამონათვალი, რაც მართვის სისტემის ეფექტურობის გარანტიას.

მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ფუნქციონირებს PDCA (გეგმვა – განხორციელება – შეფასება – განვითარება) ციკლის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს კვარტალურ და წლიურ მიმოხილვებს, ახდენს ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში ატარებს მაკორექტირებელ ღონისძიებებს. რეაგირების მექანიზმები მოიცავს ვადების გადახედვას, აქტივობების შინაარსობრივ დაზუსტებასა და რესურსების ოპტიმიზაციას. ეს დინამიკური მიდგომა საშუალებას აძლევს ადმინისტრაციას, დროულად უპასუხოს გარემო ცვლილებებსა და იდენტიფიცირებულ რისკებს.

მესამე სტანდარტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ინსტიტუციაში ჩამოყალიბებულია სტუდენტზე ორიენტირებული გარემო. პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა გარანტირებულია შიდა მარეგულირებელი აქტებით, კერძოდ, რექტორის 2023 წლის ბრძანებით დამტკიცებული წესით, რომელიც სრულ თანხვედრაშია სახელმწიფო საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტები კარგად იცნობენ საკუთარ უფლებებსა და შეფასების გასაჩივრების მექანიზმებს, რასაც ხელს უწყობს სწავლის დაწყებამდე ჩატარებული სისტემური საორიენტაციო შეხვედრები. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად უფლებების დაცვის მაღალი ხარისხისა, ექსპერტებმა გასცეს განმავითარებელი რეკომენდაცია სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში უფლებების შესახებ ჩანაწერის ცალკე მუხლად ასახვის თაობაზე, რაც კიდევ უფრო გაამყარებს სამართლებრივ სიციხადეს.

სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართულებით უნივერსიტეტი ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს, რომლებიც მოიცავს როგორც აკადემიურ კონსულტირებას, ისე ადმინისტრაციულ და სოციალურ მხარდაჭერას. სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტებს აქვთ წვდომა ინდივიდუალურ კონსულტაციებზე აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, ხოლო ადმინისტრაციული სერვისები მიეწოდებათ გონივრულ ვადებში. განსაკუთრებით ხაზგასასმელია არაფორმალური განათლებისა და ექსტრაკურსული აქტივობების სიმრავლე, როგორცაა ახალგაზრდული კლუბები, პროფესიული ბანაკები და სამეწარმეო ინიციატივები. ეს აქტივობები ფინანსდება როგორც უნივერსიტეტის სახსრებით, ისე პროფესიული უნარების სააგენტოს გრანტებით, რაც ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ ზრდასა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას. მომსახურების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება ეფუძნება სტუდენტთა უკუკავშირის სისტემურ ანალიზს, რაც პრაქტიკაში რეალური ცვლილებებით გამოიხატება.

კარიერული მხარდაჭერის მომსახურება უნივერსიტეტში მაღალ დონეზეა ორგანიზებული და ხელმისაწვდომია როგორც მოქმედი, ისე პოტენციური სტუდენტებისთვის. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი აქტიურად თანამშრომლობს სკოლებთან „კარიერის საათის“ ფორმატში, ხოლო სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის შექმნილია სპეციალური ელექტრონული კომუნიკაციის არხები ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად გასავრცელებლად. ექსპერტთა მიერ განხილულმა 2024 წლის კვლევამ აჩვენა შთამბეჭდავი შედეგი – კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 87,37%-ს შეადგენს, რაც პირდაპირ მიუთითებს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა ეფუძნება რამდენიმე ფუნდამენტურ დოკუმენტს, როგორცაა უნივერსიტეტის დებულება, შინაგანაწესი და პროფესიული განათლების ცენტრის სამუშაო აღწერილობები. ექსპერტთა შეფასებით, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული და იერარქიული მოდელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების უწყვეტ ციკლს. მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციების განაწილება ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა პერსონალის რაოდენობრივი სიმცირის საკითხი, რაც განსაკუთრებით ეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებს. ამ მიმართულებით ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია დამატებითი მოკვლევის ჩატარებისა და თანამშრომელთა რეალური საჭიროებების დადგენის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას. თავდაპირველად ექსპერტთა ჯგუფმა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციებში გამოავლინა როლთა გადაკვეთა, რაც მონიტორინგის გარდა მოიცავდა უშუალო ჩართულობას სასწავლო პროცესის მართვასა და საკვალიფიკაციო კომისიის ხელმძღვანელობაში. აღნიშნული გარემოება შეფასდა როგორც ინტერესთა

კონფლიქტი, რის გამოც ინდიკატორი თავდაპირველად არადამაკმაყოფილებლად მიიჩნის. თუმცა, დაწესებულების მიერ 2026 წლის თებერვალში წარმოდგენილი „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ საფუძველზე, რომელიც სამთვიან ვადაში ფუნქციების გამოჯვნასა და დოკუმენტაციის გადამუშავებას ითვალისწინებს, შეფასება შეიცვალა და განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა საბოლოო დასკვნით, უნივერსიტეტმა მკაცრად უნდა დაიცვას გეგმით გათვალისწინებული ვადები და უზრუნველყოს ხარისხის მართვის ფუნქციური დამოუკიდებლობა.

უნივერსიტეტში პერსონალის მართვის პოლიტიკა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, თუმცა ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზები შრომით ხელშეკრულებებში, კერძოდ, სამუშაო და დასვენების დროის, ასევე მისამართების მითითების კუთხით. აღნიშნული ხარვეზები დაწესებულებამ ვიზიტის მსვლელობისას მყისიერად გამოასწორა, რამაც უზრუნველყო ინდიკატორის სრული შესაბამისობა. პერსონალის შერჩევის პროცესი ხასიათდება ობიექტურობითა და გამჭვირვალობით, რაც მოიცავს ვაკანსიის გამოცხადების, დოკუმენტაციის გადარჩევისა და გასაუბრების ეტაპებს. დაწესებულება პრიორიტეტს ანიჭებს დარგობრივ კვალიფიკაციასა და პროფესიულ გამოცდილებას, რაც დასტურდება პირადი საქმეების შესწავლით.

ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობისა და მონაწილეობითი მართვის პრინციპებს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიურ ფორმატში, რაც პოზიტიურად აისახება თანამშრომელთა მოტივაციაზე. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ თემატური სამუშაო ჯგუფების არსებობა ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებასა და პრობლემების ეფექტურ გადაჭრას, რაც სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

დაწესებულება ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და საჭიროებათა კვლევას სისტემური მიდგომით, რაც მოიცავს მასწავლებლებისთვის სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და სტუდენტთა გამოკითხვას, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალისთვის – ინდივიდუალური სამუშაო გეგმებისა და ანგარიშების ანალიზს. პერსონალის განვითარება დაგეგმილია და ეფუძნება რეალურ საჭიროებებს, რაც გამოიხატება თანამშრომელთა ჩართულობით როგორც შიდა, ისე გარე ტრენინგებსა და საერთაშორისო ვიზიტებში. მაგალითისთვის, აღსანიშნავია თანამშრომელთა სასწავლო ვიზიტები ლატვიასა და იტალიაში მშენებლობისა და სტუმართმასპინძლობის მიმართულებებით.

ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის პროცესი ორგანიზებულია და მოიცავს პირველად ინფორმირებასა და ადაპტაციის პერიოდში კონსულტაციების მიღებას. განსაკუთრებით ხაზგასასმელია უნივერსიტეტის პრაქტიკა წარმატებული კურსდამთავრებულების დასაქმების თაობაზე, რაც ბუნებრივად ამცირებს ადაპტაციის პერიოდს, რადგან ისინი უკვე იცნობენ ცენტრის გარემოსა და ღირებულებებს. ამგვარი მიდგომა, საერთაშორისო ინიციატივების მხარდაჭერასთან ერთად, ქმნის მყარ საფუძველს ინსტიტუციური განვითარებისა და პროფესიული განათლების ხარისხის ზრდისთვის.

ინდიკატორი 4.1.1.3 შეფასდა, როგორც მეტწილ შესაბამისობაში - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეასრულოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობა შესაბამისობის გეგმაში მითითებულ შესრულების ვადაში.

მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით ითქვა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ი. ჭავჭავაძის N21-ში მდებარე XVIII სასწავლო კორპუსში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო და ადმინისტრაციული ფართები კეთილმოწყობილია, აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით და სრულად შეესაბამება სტუდენტთა რაოდენობას. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ასევე ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის პანდუსებისა და ლიფტის მეშვეობით.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა კონტროლდება ყოველდღიურ რეჟიმში, ხოლო შენობის ტექნიკური მდგარდობა დადასტურებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით. ამასთანავე, მატერიალური რესურსების ნაწილში გამოიკვეთა კრიტიკული შეუსაბამობა სახანძრო უსაფრთხოების კუთხით. 2025 წლის სექტემბერში ჩატარებულმა ინსპექტირებამ აჩვენა, რომ ობიექტის მდგომარეობა არ შეესაბამება მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებს. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 2026 წლის 13 თებერვალს წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით, სამუშაოების დასრულების ვადამ გადაიწია 2026 წლის 18 სექტემბრამდე. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა სახანძრო უსაფრთხოების ინდიკატორი შეაფასა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაში“ და გასცა მკაცრი რეკომენდაცია გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დადგენილ ვადებში შესრულების შესახებ.

უნივერსიტეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენს მისი ბიბლიოთეკა, რომელიც წიგნადი ფონდის მრავალფეროვნებით ერთ-ერთი უმდიდრესია საქართველოში და მოიცავს 800 000-მდე ბეჭდურ ერთეულს. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე საერთაშორისო ელექტრონული ბაზები (მათ შორის ELSEVIER და EBSCO). ბიბლიოთეკის ეფექტურობა დადასტურებულია იმითაც, რომ 2025 წელს იგი ევროპის ათ საუკეთესო ბიბლიოთეკას შორის დასახელდა მწვანე პოლიტიკის წარმატებული განხორციელებისთვის. პასუხობს თანამედროვე საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მოთხოვნებს, აერთიანებს ტრადიციულ და ინოვაციურ მახასიათებლებს და სრულად ემსახურება სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის საჭიროებებს. იგი ფუნქციონირებს კვირაში ექვსი დღე (ორშაბათი–შაბათი, 09:00–19:00). ბიბლიოთეკას აქვს ორენოვანი ვებ-გვერდი (<https://library.atstu.edu.ge/ge/home>), სადაც განთავსებულია სრული ინფორმაცია, ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები. ელექტრონული რესურსები მოიცავს 6000 ელექტრონულ წიგნს, აუდიო-ვიდეო მასალებსა და პერიოდულ გამოცემებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის სივრცეში, ასევე მის მიღმა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად პასუხობს სასწავლო პროცესის მოთხოვნებს, რაც დასტურდება 164 პერსონალური კომპიუტერის, მაღალსიჩქარიანი უწყვეტი ინტერნეტისა და Wi-Fi დაფარვის არსებობით მთელ პერიმეტრზე. დაწესებულება ახორციელებს IT რისკების მართვას, კომპიუტერული პარკი აღჭურვილია ანტივირუსული პროგრამებით, ხოლო მონაცემთა უსაფრთხოებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. საკომუნიკაციო სისტემა გამართულია და მოიცავს როგორც ოფიციალურ ვებგვერდს, ისე კორპორაციულ ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ ქსელებს, სადაც რეგულარულად ახლდება საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.

საქმისწარმოების პროცესი მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად, დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემის „eflow“-ს გამოყენებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ და სრულყოფილ ასახვას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (e-vet.emis.ge). ექსპერტთა შეფასებით, ადმინისტრაციული პროცესები გამჭვირვალეა და დაწესებულება მჭიდროდ თანამშრომლობს მაკონტროლებელ უწყებებთან, აწვდის რა მათ ანგარიშებსა და უკუკავშირს დადგენილ ვადებში. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აქტიურად იყენებს მიღებულ უკუკავშირს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მათ შორის ექსტრაკურისკულური აქტივობების დაგეგმვისას.

ფინანსური თვალსაზრისით, აწეს პროფესიული განათლების ცენტრი ხასიათდება მდგარდობით, რაც განპირობებულია სტაბილური სახელმწიფო დაფინანსებით. ფინანსური რესურსები ადეკვატურად არის განაწილებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესასრულებლად, რაც ფარავს როგორც პერსონალის შრომის ანაზღაურებას და კომუნალურ

ხარჯებს, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და პროგრამულ მოდიფიკაციას. ექსპერტებთან გასაუბრებისას ადმინისტრაციამ დაადასტურა ბიუჯეტის საკმარისობა დაგეგმილი აქტივობებისთვის.

დაწესებულება იყენებს ფინანსური მდგრადობის შეფასების ობიექტურ მეთოდოლოგიას, რომელიც გულისხმობს თითოეული პროგრამის ბიუჯეტირებას სწავლის დაწყებამდე და ფაქტობრივი ხარჯების კონტროლს პროცესის დასრულების შემდეგ. შიდა აუდიტის ჯგუფი პერიოდულად ახდენს დაგეგმილი და ფაქტობრივი ბიუჯეტების შედარებით ანალიზს, რის საფუძველზეც ხდება რეაგირება და მომდევნო წლის ბიუჯეტის კორექტირება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური რესურსების კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც სტანდარტთან სრულად შესაბამისი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ტვირთების ექსპედირება

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტვირთების ექსპედირება“ (კოდი 0413) რომელიც მიზნად ისახავს ტვირთების ექსპედირებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე სასწავლო კორპუსში და მისი სტრუქტურა მორგებულია რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის პრინციპებს, რაც კოოპერაციული სწავლების ფორმატით გამოიხატება. პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა განსხვავებულია სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციის მიხედვით: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის იგი მოიცავს 90 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ქართული ენის მოდულების (A2 და B1) გავლას, მოცულობა 120 კრედიტამდე იზრდება. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 40 პირით არის შემოფარგლული, რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ ინფრასტრუქტურულ სიმძლავრეებთან.

პროგრამის შემუშავების საფუძველი და მიზანშეწონილობა ეყრდნობა საქართველოს 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც ქვეყნის რეგიონულ ჰაზად ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია მრავალწლიანი ტრადიცია ტრანსპორტის სფეროში კადრების მომზადების კუთხით, რაც „TRACECA“-ს სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სექტორში არსებული გამოწვევების საპასუხოდ გარდაიქმნა თანამედროვე მოდულურ პროგრამად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც თანხვედრაშია ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ მიღებულია შრომის ბაზრის კვლევის, პოტენციური დამსაქმებლების უკუკავშირისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების პლატფორმების ანალიზის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კადრების მომზადებას ისეთი სპეციფიკური მოთხოვნებისათვის, როგორცაა სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთქმედების ლოგისტიკური სისტემები.

მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსების თვალსაზრისით, პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი. სწავლება მიმდინარეობს სპეციალიზებულ სასწავლო გარემოში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებითა და საჭირო საოფისე ინვენტარით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც 2025 წელს ევროპის ათ საუკეთესო ბიბლიოთეკას შორის დასახელდა მწვანე პოლიტიკის განხორციელებისთვის; იგი სტუდენტებს სთავაზობს როგორც 800 000-მდე ბეჭდურ ერთეულს, ისე წვდომას საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან და საკანონმდებლო მაცნესთან. პრაქტიკული კომპონენტის რეალიზაციისათვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ ორგანიზაციასთან, კერძოდ ი/მ დავით თვალაძის გამანაწილებელ ცენტრთან, სადაც სტუდენტები რეალურ სამუშაო გარემოში ეუფლებიან სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის ორგანიზებასა და გადაზიდვების უსაფრთხოების მართვას.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 10 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან შვიდი უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება, ხოლო სამი –

ზოგად კომპონენტებს. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ადმინისტრაციულ ფუნქციებთან ერთად თავადაც მონაწილეობს სწავლების პროცესში. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა ხასიათდება მდგრადობით, რადგან მისი რენტაბელობის ზღვარი 14 სტუდენტზე გადის, რაც არსებული 40-იანი კვოტის პირობებში პროგრამის ხარისხიანად და უწყვეტად განხორციელების გარანტიაა. ინფრასტრუქტურა ასევე ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, რაც მოიცავს სპეცმოწყობილობებს გადაადგილებისთვის და ადაპტირებულ სველ წერტილებს. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული რესურსები და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობის შესაძლებლობები სრულად უზრუნველყოფს ერთ ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას. სამუშაო ადგილების რაოდენობა აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს: პრაქტიკული სწავლების სივრცეები თავსებადია ჯგუფის მოცულობასთან; დასაბუთება წარმოდგენილია გამჭვირვალე და რაოდენობრივ არგუმენტებზე დაფუძნებული ფორმით; პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებიც უზრუნველყოფს 20 სტუდენტიანი ჯგუფის პრაქტიკულ დატვირთვას.

„ტვირთების ექსპედიციების“ პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა განხორციელებულია მეთოდოლოგიის მოთხოვნებთან შესაბამისად, ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების რეალური შეფასების საფუძველზე, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ზღვრულ რაოდენობას, რომელიც „ტვირთების ექსპედიციების“ პროგრამისთვის შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს (ჯგუფში 20 პროფესიული სტუდენტი).

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფუძნება PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე) ციკლს. პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის დინამიკა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ, რათა გამოირიცხოს ფუნქციური გადაფარვა ხარისხის მართვის მენეჯერსა და სასწავლო პროცესის კოორდინატორს შორის. აღნიშნული რეგულაციების დაზუსტება კიდევ უფრო გააძლიერებს შეფასების სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას.

სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სწავლებისას გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული მეთოდები, როლური თამაშები და სიმულაციები. შეფასების სისტემა მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ კომპონენტებს, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას, მიიღონ დროული უკუკავშირი საკუთარი პროგრესის შესახებ. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ბუღალტრული აღრიცხვა

„ბუღალტრული აღრიცხვა“ (კოდი 0411) არის მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე სასწავლო კორპუსში. პროგრამის განხორციელების ფორმა არის იმიტირებული, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის ბაზაზე დაეუფლონ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 99 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების (A2 და B1) გათვალისწინებით, 129 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 40 პირის ოდენობით, რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს. ბუღალტრული აღრიცხვის აქტუალობა დასტურდება კერძო და საჯარო სექტორში კვალიფიციურ კადრებზე მზარდი მოთხოვნით, რაც კურსდამთავრებულებს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს უქმნის როგორც საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, ისე აუდიტორულ კომპანიებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი პირების მოზიდვას, რომელთაც შესწევთ უნარი ხარისხიანად დაძლიონ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამის სასწავლო კორპუსში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო გარემო. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ საჭიროებს მხოლოდ A და B სასწავლო გარემოს, (მოცემული პროგრამა არ მოითხოვს C სასწავლო გარემოს.). AB სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული აუდიტორია #305, რომელიც აღჭურვილია 20 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტებისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 დაფა, 1 პრინტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება – 1 მონიტორი; ასევე 20 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც ჩატვირთულია საბუღალტრო პროგრამის „Oris“ დემო ვერსია. აგრეთვე 1 დაფა, 1 პრინტერი და 1 მონიტორი დემონსტრირებისთვის. ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“, არ არის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდული და სწავლება პრაქტიკის ობიექტზე, შესაბამისად, პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. უნივერსიტეტის მატერიალური ბაზა, რესურსების ხელმისაწვდომობა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები რეალისტურადაა განსაზღვრული, ფაქტობრივად ხელმისაწვდომია და სრულად შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული პროგრამის მიზნებსა და შინაარსს. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ბექდური და ელექტრონული მასალები, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელიც 2025 წელს ევროპის საუკეთესო ათეულში დასახელდა მწვანე პოლიტიკის განხორციელებისთვის. ასევე, სტუდენტებს აქვთ მუდმივი წვდომა საკანონმდებლო მაცნეს განახლებულ ნორმატიულ აქტებთან, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფინანსური სფეროს რეგულაციების შესასწავლად.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 9 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან ექვსი დარგობრივ მოდულს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების პროცესში. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა მდგრადია – მისი რენტაბელობის ზღვარი 11 სტუდენტზე გადის, რაც არსებული კვოტის პირობებში საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვასა და ხარისხის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა გადაადგილებისა და სწავლის საჭიროებებზე.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ იყოს ჩართული სასწავლო

პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება.

სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, თანამედროვე მეთოდების (ქეის-სტადები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული ზრდისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულობასა და პროცესის აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საფინანსო სერვისები

„საფინანსო სერვისები“ (კოდი 0412) არის მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საფინანსო სექტორისთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. სწავლება მიმდინარეობს კოოპერაციული ფორმატით, რეალურ სამუშაო გარემოში, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს უშუალოდ პრაქტიკის ობიექტებზე დაეუფლონ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 52 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების (A2 და B1) გათვალისწინებით – 67 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 40 პირის ოდენობით, რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებთან, ვინაიდან სასწავლო პროცესი ორ ცვლაშია დაგეგმილი. პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს, რომელმაც აჩვენა საფინანსო სექტორში მოღარე-ოპერატორებზე მზარდი მოთხოვნა. „საფინანსო სერვისების“ აქტუალობა დასტურდება როგორც საბანკო, ისე არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების მხრიდან კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და აპლიკანტის ასაკი არანაკლებ 17 წელი. ჩარიცხვის პროცესი მოიცავს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მოტივაციურ გასაუბრებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი პირების შერჩევას, რომელთაც აქვთ მზაობა ხარისხიანად დაძლიონ სწავლის შედეგები. პროგრამა ხორციელდება შესაბამის სასწავლო გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია მიზნების მისაღწევად აუცილებელი მატერიალური რესურსი. პროგრამა საჭიროებს AB სასწავლო გარემოს (აუდიტორია №309), რომელიც აღჭურვილია 20 სამუშაო ადგილით, პერსონალური კომპიუტერებითა და დემონსტრირების ციფრული საშუალებებით. პრაქტიკული კომპონენტის რეალიზებისათვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სს „თიბისი ბანკსა“ და შპს „მეგასთან“. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მატერიალური და სასწავლო რესურსები რეალისტურადაა განსაზღვრული და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ნორმატიულ აქტებზე მუდმივი წვდომა უზრუნველყოფილია „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 12 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან ექვსი პროფესიულ მოდულებს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების პროცესში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია – მისი რენტაბელობის ზღვარი 12 სტუდენტზე გადის, რაც არსებული კვოტის პირობებში საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვას

უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, მათ შორის უზრუნველყოფილია სპეციალური სპეცმოწყობილობები და ადაპტირებული სველი წერტილები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ რეგულაციის დონეზე. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ იყოს ჩართული სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება.

სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების თანამედროვე მეთოდების (ქეის-სტადები, როლური თამაშები, სიმულაციები) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასება სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული ზრდისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულობასა და პროცესის აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საბაჟო საქმე

„საბაჟო საქმე“ (კოდი 1032) არის მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საბაჟო სფეროში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. სწავლება მიმდინარეობს კოოპერაციული ფორმატით, რეალურ სამუშაო გარემოში, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს პრაქტიკული უნარები უშუალოდ ინდუსტრიულ გარემოში გამოიმუშაონ. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 93 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით – 123 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 40 პირის ოდენობით (თითო მიღებაზე 20 სტუდენტი), რაც სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს. საბაჟო საქმის სპეციალისტებზე მოთხოვნა დასტურდება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის მხრიდან, რაც დასაქმების პლატფორმებისა და კურსდამთავრებულთა კვლევებითაც დასაბუთებულია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო შერჩევის პროცედურა მოიცავს აპლიკანტთა რეგისტრაციასა და მოტივაციურ გასაუბრებას, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევისათვის მზაობის მქონე პირთა ჩარიცხვას. „საბაჟო საქმის“ პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალური ბაზით, მათ შორის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოებით. აუდიტორიები აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, სადაც ჩატვირთულია საბაჟო დეკლარირების შესასწავლი სპეციალიზებული პროგრამები. პრაქტიკული კომპონენტის რეალიზებისათვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი კომპანია „JB Flooring“-თან, რომელიც მდებარეობს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია დამატებითი თანამშრომლობის შესახებ შემოსავლების სამსახურთან, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ სრულყოფილი წარმოდგენა დარგის მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობაზე. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, ხოლო ნორმატიულ აქტებზე მუდმივი წვდომა უზრუნველყოფილია „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების

მასწავლებელი. აქედან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 8 პირია განსაზღვრული, ზოგადი მოდულებისთვის 5 პირი. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს. პროგრამას დამატებული აქვს განმახორციელებელი პერსონალის სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა რენტაბელურია – მისი მდგრადობის ზღვარი 11 სტუდენტზე გადის. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, რაც მოიცავს როგორც ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, ისე ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მზაობას. უნივერსიტეტის იმ კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოთხოვნად სტანდარტებთან თანხვედრილი ხელმისაწვდომობა: შენობა ადჭურვილია კიბეებზე ასასვლელი-ჩამოსასვლელი სპეცმოწყობილობით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. არსებობს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს. სასწავლო სივრცეებში (A და B) შესაძლებელია სსსმ სტუდენტებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა – მოსარგები სამუშაო ადგილებითა და სივრცით ორგანიზაციით.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა PDCA ციკლს და მოიცავს შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების პერიოდულ გამოკითხვას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ. მიზანშეწონილია ხარისხის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა მისი ფუნქციები შემოიფარგლოს მხოლოდ მონიტორინგით და არ გადაიფაროს სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებასთან, რაც სისტემის სანდობასა და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას მოემსახურება. სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია თანამედროვე მეთოდების, მათ შორის ქეის-სტადების, როლური თამაშებისა და სიტუაციური ანალიზის გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასება სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული განვითარებისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულობასა და პროცესის აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ადმინისტრაციული სერვისები

„ადმინისტრაციული სერვისები“ (კოდი 0413) წარმოადგენს მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ სერვისებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმატით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილება უშუალოდ სამუშაო ადგილზე მიიღონ. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 70 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით – 100 კრედიტით. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 40 პირის ოდენობით, რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, სადაც პროფესიული მომზადება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად არის დასახული. ადმინისტრაციული სერვისების აქტუალობა დასტურდება რეგიონში მომსახურების სექტორის განვითარებითა და შრომის ბაზრის ანალიზით, რომელიც

კვალიფიციურ კადრებზე მზარდ მოთხოვნას აჩვენებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი პირების მოზიდვას, რომელთაც შესწევთ უნარი ხარისხიანად დაძლიონ სწავლის შედეგები.

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამის სასწავლო გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზა. პროგრამისთვის გამოყოფილია A და B ტიპის სასწავლო სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია 20 სამუშაო ადგილით, პერსონალური კომპიუტერებითა და პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკით. განსაკუთრებით აღსანიშნავია C გარემო – უნივერსიტეტის კანცელარია, რომელიც აღჭურვილია ადმინისტრაციული საქმიანობისთვის აუცილებელი პროფესიული ინვენტარით. პრაქტიკული კომპონენტის რეალიზებისათვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ა(ა)იპ „აფხაზინტერკონტან“, სადაც სტუდენტები რეალურ სამუშაო გარემოში ეუფლებიან სერვისის სტანდარტულ პროცესებს. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 15 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 10 უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების პროცესში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია – მისი რენტაბელობის ზღვარი 15 სტუდენტზე გადის, რაც საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს. გარემო ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, შენობა აღჭურვილია ლიფტითა და შესაბამისი სველი წერტილებით.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ იყოს ჩართული სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება. სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების თანამედროვე მეთოდების (ქეის-სტადები, როლური თამაშები, სიმულაციები) გამოყენებით.

შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული ზრდისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულობასა და პროცესის აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ღონისძიების ორგანიზება

„ღონისძიების ორგანიზება“ (კოდი 0413) არის მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ღონისძიების ორგანიზებაში სამუშაო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმატით, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილება უშუალოდ სადღესასწაულო, სპორტულ თუ საქმიან გარემოში დააგროვონ. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 61 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი მოდულების გათვალისწინებით – 91 კრედიტით. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 პირს, რაც შეესაბამება დაწესებულების ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს, რაც მიმართულია რეგიონში ტურიზმისა და მომსახურების სფეროს განვითარების ხელშეწყობაზე. შრომის ბაზრის ანალიზი ადასტურებს კვალიფიციურ კადრებზე მზარდ მოთხოვნას, რომლებიც უზრუნველყოფენ სერვისის ხარისხის მართვასა და ეფექტურ კომუნიკაციას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვის პროცედურა მოიცავს მოტივაციურ გასაუბრებას. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს ისეთი სტუდენტების შერჩევას, რომელთაც აქვთ სათანადო ინტერესი და კომპეტენცია, რათა წარმატებით დაძლიონ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალური ბაზით, რაც მოიცავს კეთილმოწყობილ A და B ტიპის სასწავლო სივრცეებს, აღჭურვილს პერსონალური კომპიუტერებითა და პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკით. პრაქტიკული კომპონენტების რეალიზებისათვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ისეთ პარტნიორ ორგანიზაციებთან, როგორცაა ი/მ მეგი ნიჟარაძე – „სემირამიდა“, ბავშვთა გასართობი ცენტრი „პანდა“, ტელეკომპანია „მეგა ტვ“ და ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, რესურსები რელევანტურია და სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, ხოლო ნორმატიულ აქტებზე წვდომა უზრუნველყოფილია „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულებით.

პროგრამის მდგრადობას განაპირობებს 15 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 10 უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების მონიტორინგსა და სტუდენტთა კონსულტირებაში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია – მისი რენტაბელობის ზღვარი 14 სტუდენტზე გადის. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, რაც მოიცავს როგორც ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, ისე ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მზაობას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა PDCA ციკლს და მოიცავს შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ რეგულაციის დონეზე. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ იყოს ჩართული სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება.

სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების თანამედროვე მეთოდების (ქეის-სტადები, როლური თამაშები, სიმულაციები) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასება სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული განვითარებისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულობასა და პროცესის აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – აღმზრდელი

„აღმზრდელი“ (კოდი 0112) არის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სკოლამდელ აღზრდაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ

ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის XVIII კორპუსში. სწავლების ფორმა არის კოოპერაციული, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას რეალურ სამუშაო გარემოში და სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების უშუალოდ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გამომუშავებას. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 116 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების (A2 და B1) გათვალისწინებით – 146 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 40 პირის ოდენობით, რაც შეესაბამება არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და ადამიანურ რესურსებს. პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზს. ქუთაისში არსებული სახელმწიფო და კერძო ბაგა-ბაღების მხრიდან მაღალკვალიფიციურ კადრებზე მზარდი მოთხოვნა და უნივერსიტეტის მრავალწლიანი გამოცდილება ამ მიმართულებით (2016 წლიდან) პროგრამის აქტუალობის მყარ საფუძველს ქმნის. დასაბუთებაში ასევე გამოყენებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) კვლევის შედეგები სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრება, რაც უზრუნველყოფს ისეთი კანდიდატების შერჩევას, რომელთაც შესწევთ უნარი ხარისხიანად დაძლიონ ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სტანდარტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამა „აღზრდელი“ ხორციელდება შესაბამის სასწავლო გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. უნივერსიტეტში მოწყობილია A და B ტიპის აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია სამუშაო მაგიდებით, პერსონალური კომპიუტერებითა და პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკით. პრაქტიკული კომპონენტის რეალიზებისათვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან, რომელიც 37 ფილიალს აერთიანებს. ექსპერტთა შეფასებით, მატერიალური რესურსები რეალისტურადაა განსაზღვრული და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ბეჭდური და ელექტრონული მასალები, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ნორმატიულ აქტებზე მუდმივი წვდომა უზრუნველყოფილია „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 21 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 18 უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების პროცესში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია – მისი რენტაბელობის ზღვარი 14 სტუდენტზე გადის, რაც არსებული კვოტის პირობებში საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, მათ შორის უზრუნველყოფილია კიბეებზე ასასვლელი სპეცმოწყობილობები და ადაპტირებული სველი წერტილები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ რეგულაციის დონეზე. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ იყოს ჩართული სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება. სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, თანამედროვე მეთოდების

(პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადები, როლური თამაშები) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული ზრდისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულობასა და პროცესის აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – მოდის ტექნოლოგია და დიზაინი

„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ (კოდი 0723) წარმოადგენს მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს მოდის ინდუსტრიისათვის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმატით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევები უშუალოდ საწარმოო პროცესში გამოიმუშაონ. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 90 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი მოდულების გათვალისწინებით – 120 კრედიტით. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 20 პირის ოდენობით ერთ მიღებაზე (ჯამურად 40 სტუდენტი), რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის მრავალწლიან გამოცდილებას (2011 წლიდან) და შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზს, რომელმაც აჩვენა მზარდი მოთხოვნა სამკერვალო სფეროს ტექნოლოგებზე, კონსტრუქტორებსა და დიზაინერებზე. პროგრამა პასუხობს XXI საუკუნის გამოწვევებს, როგორცაა ციფრული მოდელირება, 3D ბეჭდვა და მდგრადი მოდის პრინციპები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული და შესაბამისი ინტერესის მქონე პირთა მობილიზებას.

პროგრამა ხორციელდება სათანადოდ აღჭურვილ სასწავლო გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია მიზნების მისაღწევად აუცილებელი მატერიალური ბაზა. პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია A და C ტიპის სასწავლო სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, უახლესი უნივერსალური და სპეციალური სამკერვალო მანქანებითა და თბურ-დანამვითი დამუშავების მოწყობილობებით. პრაქტიკული კომპონენტის რეალიზებისათვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები მსხვილ სამკერვალო საწარმოებთან – შპს „ემჯიტექსსა“ და შპს „იმერთან“. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის დარგობრივი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ლაბორატორიებში, ხოლო ნორმატიულ აქტებზე წვდომას უზრუნველყოფს „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულება.

პროგრამის მდგრადობას განაპირობებს 13 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან რვა უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. მასწავლებელთა უმრავლესობა აწსუ-ს დიზაინისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალია, რაც სწავლების მაღალ ხარისხს განაპირობებს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა სიცოცხლისუნარიანია – მისი რენტაბელობის ზღვარი 11 სტუდენტზე გადის. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, რაც მოიცავს როგორც ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, ისე ადაპტირებულ ელექტრონულ რესურსებს.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ რეგულაციის დონეზე. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ იყოს ჩართული სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება. სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია თანამედროვე მეთოდების, მათ შორის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა და ქეის-სტადების გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასება სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული ზრდისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულობასა და პროცესის აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – მხატვრული ქსოვილები

„მხატვრული ქსოვილები“ (კოდი 0214) არის მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს მხატვრულ ქსოვაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. სწავლების ფორმა არის იმიტირებული, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის ბაზაზევე მოწყობილ სახელოსნოებში დაეუფლონ სხვადასხვა სახისა და სტრუქტურის დეკორატიული ტექსტილის დამზადების ტექნოლოგიებს. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 76 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, სახელმწიფო ენის მოდულების გათვალისწინებით – 91 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 20 პირის ოდენობით, რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული ბაზრის თავისებურებებს, ვინაიდან აწსუ რეგიონში ერთადერთი დაწესებულებაა, რომელიც ამზადებს დეკორატიული ტექსტილის სპეციალისტებს. დარგის აქტუალობა დასტურდება ტურისტული ინდუსტრიის ზრდითა და ხელნაკეთ პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნით, რაც კურსდამთავრებულებს თვითდასაქმებისა და თვითრეალიზების ფართო შესაძლებლობებს უქმნის. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება და სპეციალური სახელოვნებო ტური, რომელიც მოიცავს შემოქმედებით დავალებასა და მოტივაციურ გასაუბრებას. ეს პროცესი უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი პირების შერჩევას, რომელთაც აქვთ სათანადო ნიჭი და მზაობა ხარისხიანად დაძლიონ სწავლის შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის XVIII კორპუსში, სადაც უზრუნველყოფილია სპეციფიკური მასალებითა და ინვენტარით აღჭურვილი გარემო. პროგრამა მოიცავს A, B და ორ C ტიპის სასწავლო სივრცეს, რომლებიც აღჭურვილია საქსოვი დაზგებით, სატრიკოტაჟო მანქანებით, საქსოვი ჩარჩოებით, ჭავლური პრინტერითა და თერმოპრესით. აღნიშნული ტექნიკა საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას როგორც ტრადიციული ქსოვა, ისე თანამედროვე ციფრული ჩითვის ტექნოლოგიები. ექსპერტთა შეფასებით, მატერიალური რესურსები რეალისტურადაა განსაზღვრული და სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის დარგობრივი ლიტერატურა, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ნორმატიულ აქტებზე წვდომა უზრუნველყოფილია „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 15 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან შვიდი უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას განაპირობებს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელსაც აქვს მოდულური პროგრამების მართვის მრავალწლიანი გამოცდილება. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია – მისი რენტაბელობის ზღვარი 10 სტუდენტზე გადის, რაც ოპერატიული ხარჯების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, მათ შორის უზრუნველყოფილია კიბეებზე ასასვლელი სპეცმოწყობილობები და ადაპტირებული ელექტრონული ბიბლიოთეკა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, რაც დასტურდება პროგრამის განმახორციელებლების აქტიური მონაწილეობით საერთაშორისო სემინარებსა და მასტერკლასებში (მაგალითად, მოლდოვაში გამართული ღონისძიებები). ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ რეგულაციის დონეზე. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ იყოს ჩართული სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება. სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სტუდენტთა საჭიროებებისა და სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით. სწავლება ეყრდნობა აქტიურ მეთოდებს, როგორცაა პრაქტიკული პროექტები და მხატვრული ნაქსოვის შესრულება. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასება სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი შემოქმედებითი ზრდისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სარესტორნო მომსახურება

„სარესტორნო მომსახურება“ (კოდი 1013) არის მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სარესტორნო სფეროში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსში. სწავლების ფორმა არის კოოპერაციული, რაც გულისხმობს რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებას და სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების უშუალოდ სარესტორნო ობიექტებზე გამომუშავებას. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 76 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების (A2 და B1) გათვალისწინებით – 106 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 30 პირის ოდენობით, რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს. მომსახურების სფეროსა და ტურიზმის ზრდა იმერეთის რეგიონში ქმნის მაღალკვალიფიციურ პერსონალზე მზარდ მოთხოვნას, რაც კურსდამთავრებულებს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს უქმნის. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრება. ეს პროცედურა უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი პირების შერჩევას, რომელთაც აქვთ სათანადო ინტერესი და მზაობა, რათა ხარისხიანად დაძლიონ სწავლის შედეგები და დაეუფლონ სერვისის მართვისა და სტუმართმასპინძლობის ეთიკის სტანდარტებს.

პროგრამა ხორციელდება შესაბამის სასწავლო გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზა. პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია A, B და C ტიპის სასწავლო სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, საპრეზენტაციო ტექნიკითა და სარესტორნო ინვენტარით. პრაქტიკული კომპონენტის რეალიზებისათვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები რესტორან „ასტორიასთან“ (შპს „ოქრო“) და ი.მ „მირიანაშვილთან“ (ღვინის დეგუსტაციის მოდულისთვის). ექსპერტთა შეფასებით, მატერიალური რესურსები რეალისტურადაა განსაზღვრული და სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ნორმატიულ აქტებზე მუდმივი წვდომა უზრუნველყოფილია „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 17 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 13 უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების მონიტორინგში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია – მისი რენტაბელობის ზღვარი 11 სტუდენტზე გადის, რაც ოპერატიული ხარჯების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, მათ შორის უზრუნველყოფილია კიბეებზე ასასვლელი სპეცმოწყობილობები და ადაპტირებული სველი წერტილები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ რეგულაციის დონეზე. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ იყოს ჩართული სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება.

სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების თანამედროვე მეთოდების (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადები, სიმულაციები) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული განვითარებისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საბიბლიოთეკო საქმე

„საბიბლიოთეკო საქმე“ (კოდი 0322) არის მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საბიბლიოთეკო სფეროში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსში. სწავლების ფორმა არის კოოპერაციული, რაც გულისხმობს რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებას და სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევები უშუალოდ საბიბლიოთეკო დაწესებულებებში გამოიმუშაონ. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 86 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების (A2 და B1) გათვალისწინებით – 116 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 30 პირის ოდენობით (15 სტუდენტი ერთ მიღებაზე), რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს. საბიბლიოთეკო სფეროს განვითარება იმერეთის რეგიონში ქმნის მაღალკვალიფიციურ კადრებზე მზარდ მოთხოვნას როგორც საჯარო და საუნივერსიტეტო, ისე სასკოლო და სასოფლო ბიბლიოთეკებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი პირების შერჩევას, რომელთაც შესწევთ უნარი ხარისხიანად დაძლიონ სწავლის შედეგები და დაეუფლონ თანამედროვე საბიბლიოთეკო სერვისის მართვის სტანდარტებს.

პროგრამა ხორციელდება შესაბამის სასწავლო გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზა. პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია A და B ტიპის სასწავლო სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, ინტერნეტკავშირითა და საპრეზენტაციო ტექნიკით. განსაკუთრებით აღსანიშნავია C გარემო – უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, სადაც სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ კატალოგებთან, სამეცნიერო ბაზებთან და ციფრულ რესურსებთან. მატერიალური ბაზა სრულად პასუხობს სწავლების თანამედროვე სტანდარტებს, ხოლო ნორმატიულ აქტებზე მუდმივი წვდომა უზრუნველყოფილია „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 13 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან შვიდი უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების პროცესში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია – მისი რენტაბელობის ზღვარი 15 სტუდენტზე გადის, რაც არსებული კვოტის პირობებში საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, მათ შორის უზრუნველყოფილია კიბეებზე ასასვლელი სპეცმოწყობილობები და ადაპტირებული სველი წერტილები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ რეგულაციის დონეზე. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ იყოს ჩართული სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება. ასევე, სასურველია სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა მობილობის პირობებთან დაკავშირებით.

სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების თანამედროვე მეთოდების (ქეის-სტადები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაციები) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული ზრდისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ბაღის დიზაინი

„ბაღის დიზაინი“ (კოდი 0812) არის მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ბაღის დიზაინში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე

სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსში. პროგრამის განხორციელების ფორმა არის რეალური სამუშაო გარემო, რაც კოოპერაციული სწავლების მოდელის გამოყენებით სტუდენტებს საშუალებას აძლევს პროფესიული უნარ-ჩვევები უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე გამოიმუშაონ. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 85 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების (A2 და B1) გათვალისწინებით – 115 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 30 პირის ოდენობით, რაც შეესაბამება დაწესებულების ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებს. პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს. ტურიზმისა და მომსახურების სფეროს განვითარება იმერეთის რეგიონში ქმნის მზარდ მოთხოვნას ლანდშაფტისა და ბაღის დიზაინის კვალიფიციურ სპეციალისტებზე, რაც კურსდამთავრებულებს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს უქმნის როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრება. აღნიშნული შერჩევის პროცესი უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი პირების მოზიდვას, რომელთაც შესწევთ უნარი ხარისხიანად დაძლიონ სწავლის შედეგები და დაეუფლონ სერვისის მართვისა თუ ოპერაციების დაგეგმვის თანამედროვე სტანდარტებს.

„ბაღის დიზაინის“ პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამის სასწავლო გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზა. პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კეთილმოწყობილი A და B ტიპის სასწავლო სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, საპრეზენტაციო ტექნიკითა და სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამებით (ArchiCAD, Photoshop, Lumion). პრაქტიკული კომპონენტის (C გარემო) რეალიზებისათვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ „ქუთაისის ბოტანიკურ ბაღთან“, სადაც სტუდენტები რეალურ გარემოში ეუფლებიან მცენარეთა მოვლის, ბაღის ინჟინერიისა და დაგეგმარების სპეციფიკას. ექსპერტთა შეფასებით, მატერიალური რესურსები რეალისტურადაა განსაზღვრული და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის დარგობრივი ლიტერატურა, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ნორმატიულ აქტებზე მუდმივი წვდომა უზრუნველყოფილია „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 16 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 12 უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და აკადემიური ხარისხის (დოქტორი) მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების მონიტორინგსა და სტუდენტთა კონსულტირებაში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია – მისი რენტაბელობის ზღვარი 15 სტუდენტზე გადის, რაც საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, მათ შორის უზრუნველყოფილია კიბეებზე ასასვლელი სპეცმოწყობილობები, ლიფტები და ადაპტირებული სველი წერტილები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ რეგულაციის დონეზე. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ

იყოს ჩართული სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება.

სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების თანამედროვე მეთოდების (ქეის-სტადიები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული ზრდისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საავტომობილო გზების მშენებლობა

„საავტომობილო გზების მშენებლობა“ (კოდი 0732) წარმოადგენს მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს საავტომობილო გზების მშენებლობის სფეროში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმატით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილება უშუალოდ სამშენებლო ობიექტებზე მიიღონ. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 90 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების (A2 და B1) გათვალისწინებით – 120 კრედიტით. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 30 პირის ოდენობით (15 სტუდენტი ერთ მიღებაზე), რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს. აწსუ-ს მშენებლობის დეპარტამენტს გააჩნია ამ სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება (2015 წლიდან), ხოლო ახალი პროგრამა მომზადებულია საგანმანათლებლო სტანდარტის მოდიფიკაციის საფუძველზე, რაც სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი პირების შერჩევას, რომელთაც შესწევთ უნარი ხარისხიანად დაძლიონ სწავლის შედეგები და დაეუფლონ გზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის თანამედროვე ტექნოლოგიებს.

პროგრამა ხორციელდება შესაბამის სასწავლო გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზა. პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია A და B ტიპის სასწავლო სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, საპრეზენტაციო ტექნიკითა და დარგობრივი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიებით. პრაქტიკული კომპონენტის (C გარემო) რეალიზებისათვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ისეთ მსხვილ კომპანიებთან, როგორცაა შპს „დაგი+“, შპს „თანამედროვე გზა“, შპს „საქმილსადენმშენი“ და შპს „როსტვერკი“. ექსპერტთა შეფასებით, მატერიალური რესურსები რეალისტურადაა განსაზღვრული და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ნორმატიულ აქტებზე წვდომას უზრუნველყოფს „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულება.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 17 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 10 უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების მონიტორინგში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია –

მისი რენტაბელობის ზღვარი 11 სტუდენტზე გადის, რაც საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, მათ შორის უზრუნველყოფილია კიბეებზე ასასვლელი სპეცმოწყობილობები და ადაპტირებული ელექტრონული რესურსები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ რეგულაციის დონეზე. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ იყოს ჩართული სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება.

სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების თანამედროვე მეთოდების (ქეის-სტადიები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაციები) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული ზრდისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ტყავის ნაკეთობათა წარმოება

„ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ (კოდი 0723) წარმოადგენს მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ტყავის ნაკეთობათა წარმოების სფეროში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის #21-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმატით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილება უშუალოდ საწარმო ობიექტებზე მიიღონ. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 78 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულების (A2 და B1) გათვალისწინებით – 108 კრედიტით. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 20 პირის ოდენობით (ერთ მიღებაზე 10 სტუდენტი), რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებთან.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება რეგიონული შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს, რომლის თანახმად ქუთაისში ფუნქციონირებს 50-მდე ფეხსაცმლის მცირე და საშუალო წარმოება. აწსუ-ს საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტს ამ დარგის სპეციალისტების მომზადების 50-წლიანი გამოცდილება გააჩნია, რაც პროგრამის მაღალ ხარისხსა და აქტუალობას განაპირობებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო შერჩევის პროცედურა მოიცავს მოტივაციურ გასაუბრებას. ეს უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი პირების მოზიდვას, რომელთაც შესწევთ უნარი ხარისხიანად დაძლიონ სწავლის შედეგები და დაეუფლონ ტყავის ნაკეთობათა დიზაინისა და ტექნოლოგიის თანამედროვე სტანდარტებს.

პროგრამა ხორციელდება სათანადოდ აღჭურვილ სასწავლო გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზა. პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია A და C ტიპის სასწავლო სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, საპრეზენტაციო ტექნიკითა და დარგობრივი პროგრამული უზრუნველყოფით. პრაქტიკული კომპონენტის რეალიზებისათვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ლევანტოსთან“, სადაც სტუდენტები რეალურ გარემოში ეუფლებიან ფეხსაცმლისა და აქსესუარების წარმოების სრულ ციკლს.

საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ნორმატიულ აქტებზე მუდმივი წვდომა უზრუნველყოფილია „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 11 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან შვიდი უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ჩანაცვლებადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესორი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების მონიტორინგში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია – მისი რენტაბელობის ზღვარი 10 სტუდენტზე გადის, რაც საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, მათ შორის უზრუნველყოფილია კიბეებზე ასასვლელი სპეცმოწყობილობები და ადაპტირებული ელექტრონული ბიბლიოთეკა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების უფრო მკაფიო გამიჯვნის შესახებ რეგულაციის დონეზე. მიზანშეწონილია ხარისხის მართვის მენეჯერის როლის დაზუსტება, რათა იგი დარჩეს მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირად და არ იყოს ჩართული სასწავლო პროცესის უშუალო შესრულებაში, რაც პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და სისტემის სანდოობის გაძლიერებას ემსახურება. სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების თანამედროვე მეთოდების (ქეის-სტადიები, სიმულაციები, პრაქტიკული პროექტები) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული ზრდისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სამწლიანი ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ქეთევან ჯანელიძეს, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების ფარგლებში გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად დოკუმენტურად გაწერილი ყველა თანმიმდევრული პროცესებისა, ექსპერტთა დასკვნაში გამოტანილია განმავითარებელ რეკომენდაციად პროცესების სრულყოფილად აღსრულებითვის. მან ითხოვა დაწესებულების პოზიციის განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვერ ხერხდებოდა დადგენილი წესების დაცვა. ქეთევან ჯანელიძემ, განმარტა, რომ შეფასება კადრების არასაკმარისობასთან დაკავშირებით ეყრდნობოდა გასაუბრების პროცესში დაწესებულების პერსონალის მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებს მაღალი სამუშაო დატვირთვის შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საჭიროებათა კვლევაში აღნიშნული პრობლემა არ იკვეთებოდა, ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია დამატებითი შიდა მოკვლევის ჩატარებისა და თანამშრომელთა კმაყოფილების შესწავლის თაობაზე. პროცესების ფუნქციურ გამიჯვნასთან დაკავშირებით, ქეთევან ჯანელიძემ აღნიშნა, რომ სამტატო განრიგის მიხედვით ყველა პროცესი დაფარული იყო და სასწავლო პროცესში პროგრამის ხელმძღვანელებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდათ. თუმცა, ექსპერტმა ხაზი გაუსვა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესების რეგულაციის დონეზე გამიჯვნის აუცილებლობას.

მისი განმარტებით, დაწესებულების მოქმედ წესში ვალიდაცია მოაზრებული იყო ვერიფიკაციის ნაწილად, რის გამოც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ირიბად ხდებოდა ვალიდაციის მაკონტროლებელი ორგანოც. ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია წესის ფორმულირების ცვლილების შესახებ, რათა ვალიდაცია მკაფიოდ განისაზღვროს, როგორც სასწავლო პროცესის ნაწილი, ხოლო ვერიფიკაცია – როგორც ხარისხის მონიტორინგის მექანიზმი. ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია ემსახურებოდა მექანიზმების გაძლიერებას და ინტერესთა კონფლიქტის საფუძველშივე აღმოფხვრას.

დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე მსჯელობისას, საბჭოს მდივანი დაინტერესდა ინფორმაციული წიგნიერების მოდულში აღმოჩენილი ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერებით (სადაც ერთდროულად ფიქსირდებოდა კომპეტენციის დადასტურება და არდადასტურება).

ქეთევან ჯანელიძემ განმარტა, რომ აღნიშნული ფაქტი სიღრმისეულად იქნა შესწავლილი ექსპერტების მიერ. დადგინდა, რომ ეს იყო მექანიკური ხასიათის (ე.წ. copy-paste) შეცდომა ელექტრონულ უწყისში, ვინაიდან ყველა სტუდენტის შემთხვევაში რეალური მტკიცებულებები ადასტურებდა დადებით შედეგს. ექსპერტმა დასძინა, რომ მსგავსი წვრილმანი ხარვეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია ვერიფიკაციის პროცესის მოცულობის გაზრდა, რათა დაწესებულებამ პერიოდულად სრულად გადაამოწმოს პროგრამები და არა მხოლოდ ცალკეული მოდულები. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტებმა სხვა პროგრამებიც გადაამოწმეს და მსგავსი ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დამატებითი კითხვა დასვა დარგობრივ ნაწილში პროგრამების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით. ქეთევან ჯანელიძემ განმარტა, რომ დარგის ექსპერტთა შეფასებით, შეფასების ინსტრუმენტების საკმარისობა და ყველა საჭირო პარამეტრი დაცული იყო. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ საკითხის სიღრმისეული შესწავლა ემსახურებოდა მხოლოდ იმის დადგენას, ხარვეზი ატარებდა ერთეულ ტექნიკურ, თუ სისტემურ ხასიათს, რაც საბოლოოდ არ დადასტურდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ყურადღება გაამახვილა 4.1.1.3 ინდიკატორზე, რომლის მიხედვითაც გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია და სტატუსი განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“. თავმჯდომარემ ითხოვა განმარტება რეკომენდაციაში გამოყენებული ტერმინის – „გაძლიერებული ვერიფიკაციის მექანიზმი“ – შინაარსობრივ მხარესა და მის გაზომვადობაზე. გარდა ამისა, მან დასვა კითხვა 4.1.1.3 და 2.4.2.2 ინდიკატორების შეფასებებს შორის არსებულ სხვაობაზე; კერძოდ, რატომ განისაზღვრა ერთ შემთხვევაში შესაბამისობის რეკომენდაცია, ხოლო მეორეში – განმავითარებელი რეკომენდაცია, მაშინ როდესაც ორივე მექანიზმის გაძლიერებას ეხებოდა. ქეთევან ჯანელიძემ ინდიკატორებს შორის სხვაობა შემდეგნაირად განმარტა, რომ დაწესებულებას ვერიფიკაციის მექანიზმი შემუშავებული ჰქონდა და რეალურადაც ახორციელებდა მას, რაც დასტურდებოდა შესაბამისი დოკუმენტაციით. ამ გარემოების გამო, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია კომპონენტის დახარვეზება, რადგან ეს გადაწყვეტილება შესაძლოა სადავო გამხდარიყო. ტერმინში „გაძლიერებული“ ექსპერტმა იგულისხმა ვერიფიკაციის პროცესის მოცვის არეალის გაზრდა. მისი განმარტებით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ მოდულების მხოლოდ გარკვეული ნაწილის ნაცვლად, პერიოდულად სრულად გადაამოწმოს პროგრამა, რათა გამოირიცხოს მექანიკური ხარვეზები.

საბჭოს წევრი ეკატერინე გიგაშვილი დაინტერესდა, რამდენად ადეკვატური იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამთვიანი შესაბამისობის გეგმა გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად.

ქეთევან ჯანელიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის შიდა ბიუროკრატიული სტრუქტურის (აკადემიური საბჭო და სხვა შუამავალი რგოლები) გათვალისწინებით, სამთვიანი ვადა გონივრულია. მან ხაზი გაუსვა, რომ პროფესიული განათლების მიმართულება უნივერსიტეტის შიგნით საჭიროებს მეტ მოქნილობასა და ავტონომიურობას შრომის ბაზრის მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირებისთვის. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას აქვს მზაობა ხარვეზების გამოსასწორებლად, თუმცა უნივერსიტეტის მასშტაბი გადაწყვეტილების მიღების პროცესს გარკვეულწილად აფერხებს.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, შალვა კირთაძემ, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტთა ჯგუფს გაწეული მუშაობისთვის. რექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს განიხილავს იმავე პრიორიტეტულობით, როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. მან ყურადღება გაამახვილა რეგიონში პროფესიულ განათლებაზე არსებულ მაღალ მოთხოვნასა და წარმატებული კურსდამთავრებულების მაგალითებზე (კერძოდ, ტყავის წარმოების სფეროში). რექტორმა დაადასტურა უნივერსიტეტის მზაობა, მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოუჩინოს პროფესიული განათლების მიმართულებას მისი შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, იკითხა ერთ-ერთ სასწავლო კორპუსში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან აღნიშნულ ფართზე არ არსებობდა სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნა, აუცილებელი იყო დაწესებულების მხრიდან პასუხისმგებლობის აღება და გარანტიის გაცემა სტუდენტთა უსაფრთხოებასა და სასწავლო პროცესის გამართულობაზე. შალვა კირთაძემ განმარტა, რომ ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს პრობლემის მოგვარებაზე და პროგრამების ნაწილი უკვე გადატანილია იმ კორპუსებში, სადაც უსაფრთხოების ნორმები დაცულია. მან ასევე ახსენა უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ შექმნილი ელექტრონული პროგრამა, რომელიც სახანძრო უსაფრთხოების მონიტორინგს ემსახურება. რექტორმა აღნიშნა, რომ უმოკლეს ვადებში პირადად გააკონტროლებდა ხარვეზების აღმოფხვრის პროცესს. მისი განცხადებით, სასწავლო პროცესი და სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმართება პარალელურ რეჟიმში, ხოლო სტუდენტთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას საფრთხე არ შეექმნება.

ელენე კაკაბაძემ იკითხა 3.1.1.4 ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან დასკვნის აღწერილობით ნაწილში პირდაპირ არის მითითებული უფლებების ჩანაწერის არარსებობაზე, აღნიშნული წარმოადგენს სტანდარტის დარღვევას და არა განმავითარებელი რეკომენდაციის საგანს. მან ხაზი გაუსვა, რომ იურიდიული თვალსაზრისით, ხელშეკრულებაში ფუნდამენტური უფლებების არარსებობა ნიშნავს შეუსაბამობას სტანდარტთან და არა მხოლოდ „მცირე“ ხარვეზს.

ქეთევან ჯანელიძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებში სტუდენტის უფლებებზე პირდაპირი მითითება არ იყო, თუმცა არსებობდა მინიშნება შიდა რეგულაციებსა და ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზე, რომელთაც სტუდენტი ხელმოწერით ეცნობოდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გაიცა სტუდენტსა და დაწესებულებას შორის ურთიერთობის მეტი გამჭვირვალობისა და სამართლებრივი სიცხადისთვის. მან დააზუსტა, რომ ვინაიდან დაწესებულებამ გამოხატა სრული მზაობა ხარვეზის გამოსასწორებლად და სხდომაზევე წარმოადგინა ხელშეკრულების ახალი პროექტი, ექსპერტთა ჯგუფმა საკითხს კომპლექსურად შეხედა და არ მიიჩნია იგი კრიტიკულ ხარვეზად, რაც სტუდენტების ლეგიტიმურობას დააყენებდა ეჭვქვეშ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი და „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მოითხოვს სტუდენტის უფლებების ხელშეკრულებაში ასახვას. მისი თქმით, სტუდენტის მიერ შინაგანაწესის გაცნობა არ ანაცვლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას. ელენე კაკაბაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ექსპერტის დასკვნა რეალურად უნდა ასახავდეს დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას და სტანდარტთან შეუსაბამობის შემთხვევაში უნდა გაიცეს შესაბამისობის რეკომენდაცია (ხარვეზი), რათა დაწესებულებამ იგი დადგენილი წესით გამოასწოროს.

ქეთევან ჯანელიძე დაეთანხმა თავმჯდომარის სამართლებრივ არგუმენტაციას და თქვა, რომ ლოგიკურად აღნიშნული საკითხი შესაძლოა შეფასებულიყო როგორც ხარვეზი. მან დასძინა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიდგომა იყო განმავითარებელი, რადგან დაწესებულებას ჰქონდა მაღალი მიმდებლობა და სურვილი, პროცესები სრულ შესაბამისობაში მოეყვანა სტანდარტთან. ექსპერტმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ იზიარებს საბჭოს პოზიციას დასკვნის შინაარსობრივ და სამართლებრივ სიზუსტესთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ოკრიბელაშვილმა, დააზუსტა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების დეტალები. მან აღნიშნა, რომ ძველ რედაქციაში სტუდენტის უფლებები მართლაც მწირად იყო წარმოდგენილი (სამი პუნქტი), სადაც არ ფიქსირდებოდა ინფრასტრუქტურით სარგებლობის უფლება. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, დაწესებულებამ შეიმუშავა და რექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით დაამტკიცა ხელშეკრულების ახალი დრაფტი. ახალ რედაქციაში სტუდენტის უფლებები ვრცლად არის გაწერილი (ერთი მუხლი, რვა პუნქტი) და მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურით სარგებლობის, ისე პერსონალური მონაცემებისა და ფოტოსურათის გამოყენების ნებართვის საკითხებს.

სხდომის თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ხაზგასმით აღნიშნა სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის მოპოვების კრიტიკული მნიშვნელობა. მან გამოთქვა შეშფოთება ვადების გადაწევის გამო (მარტიდან 12 თვემდე) და კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რამდენად უსაფრთხოდ მიაჩნდა მას სასწავლო პროცესის წარმართვა იმ კორპუსებში, სადაც დასკვნა ჯერჯერობით არ არსებობდა.

ქეთევან ჯანელიძემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეამოწმა უსაფრთხოების მექანიზმები. მისი ინფორმაციით, დაწესებულებას აქვს ორი ფართო საევაკუაციო გასასვლელი; ცეცხლმაქრები და სახანძრო სტენდები განთავსებულია; საევაკუაციო გეგმა შეთანხმებულია „112“-თან და პერსონალს ჩატარებული აქვს ინსტრუქტაჟი; ძირითად ხარვეზს წარმოადგენდა კვამლის დეტექტორებისა და შიდა ონკანების სისტემის არასრულყოფილება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გამოიყენა სტანდარტით მინიჭებული უფლება და წარადგინა 12-თვიანი შესაბამისობის გეგმა, რაც ექსპერტთა ჯგუფმა მექანიკურად ასახა დასკვნაში, თუმცა პრიორიტეტულად მიიჩნევს ვადების მაქსიმალურ შემცირებას.

საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე, დაინტერესდა იმ კონკრეტული მიზეზებით, რის გამოც დაწესებულება ვერ ახერხებდა სახანძრო უსაფრთხოების სრულყოფას სხვა კორპუსების ანალოგიურად.

გიორგი ოკრიბელაშვილმა განმარტა, რომ სამუშაოების დიდი ნაწილი (ცენტრალური მართვის პულტი, დეტექტორები, ხმოვანი სისტემა) უკვე დასრულებულია. დარჩენილია მხოლოდ შიდა ონკანების მონტაჟი და ელექტრომეურნეობის ნაწილი, რისი განხორციელებაც სასწავლო პროცესის პარალელურად, უსაფრთხოების ნორმების გამო, შეუძლებელი იყო. დაწესებულებამ აიღო ვალდებულება, რომ 2026 წლის 1 სექტემბრამდე (საზაფხულო არდადეგების პერიოდში)

სამუშაოები სრულად დასრულდება და წარმოდგენილი იქნება დადებითი დასკვნა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, სერგო სვანიძემ, დაადასტურა, რომ მე-18 კორპუსი, სადაც პროფესიული პროგრამები ხორციელდება, ინფრასტრუქტურულად ყველაზე მეტად არის მოწესრიგებული. მან აღნიშნა, რომ ფინანსური რესურსი მობილიზებულია და ტენდერის პროცესი დაწყებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, პირდაპირი კითხვით მიმართა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, იღებდა თუ არა იგი პერსონალურ პასუხისმგებლობას სტუდენტებისა და პერსონალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე 18 სექტემბრამდე (დადებითი დასკვნის მოპოვებამდე) პერიოდში.

სერგო სვანიძემ საბჭოს წინაშე დაადასტურა, რომ იგი იღებს აღნიშნულ პასუხისმგებლობას.

საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, ოქმში დაფიქსირდა, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სერგო სვანიძე, პასუხისმგებელია სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის არქონის პირობებში.

ნათია ბუთხუზმა იკითხა „ღონისძიების ორგანიზების“ პროგრამაზე არსებული მაღალი მოთხოვნისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების შესახებ. ექსპერტმა, ქეთევან ჯანელიძემ, განმარტა, რომ პროგრამის მიმართ ინტერესი განპირობებულია ბაზარზე სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე (მათ შორის, თემატური და კერძო ღონისძიებები) გაზრდილი მოთხოვნით. მან ხაზი გაუსვა სტუდენტების აქტიურ ჩართულობას და აღნიშნა, რომ ბევრი მათგანი უკვე დასაქმებულია ან საკუთარ მცირე ბიზნესს მართავს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს

დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 3). გა დაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 თებერვალი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემდეგ კომპონენტებში: 5.1. კომპონენტში (შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის წარმოდგენა), რომლის ფორმად განისაზღვროს ვიზიტის გარეშე მონიტორინგი, ცენტრში დოკუმენტაციის წარმოდგენა, ხოლო მონიტორინგის ვადად – 2026 წლის 21 სექტემბერი; 4.1. (პერსონალის და პროცესების მართვა) და 3.1. (პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები) კომპონენტებში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, ხოლო მონიტორინგის ვადად – 2026 წლის 13 მაისი.

მეორე საკითხი: შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინი მეფარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სიპ – განათლების ხარისხი 2026 წლის იანვრის ბრძანების MES426000052374 საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 4

თებერვალს განხორციელა ავტორიზაციის ვიზიტი შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრიში (მისამართზე – ქ. ბათუმი, დავით მამულაძის ქ. N29). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტის მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში არსებულ გარემოებებს და არგუმენტირებული პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ არის მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა. მისი წარმატებით დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში. პროგრამის სწავლის დეტალური სფეროს კოდია 1041. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ბათუმში, დ. მამულაძის ქუჩა N29-ში მდებარე დაწესებულების ბაზაზე. სწავლება ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, კერძოდ, კოოპერაციული ფორმით. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას და პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 144 სტუდენტით. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფორმატში კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 72-ს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 102 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამა ოფიციალურად არის დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის შესაბამისი ბრძანებით.

ექსპერტთა დასკვნის თანახმად, პროგრამის შემუშავების პროცესი სრულად ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევებს, განათლების სახელმწიფო პრიორიტეტებსა და საერთაშორისო საზღვაო სტანდარტებს, რაც ზედმიწევნით შეესაბამება სასწავლებლის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ არის რეგლამენტირებული და მოიცავს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისი ჯანმრთელობის ცნობის წარდგენას. აღსანიშნავია, რომ 144-კაციანი ზღვრული რაოდენობა ეფუძნება ზუსტ და არგუმენტირებულ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო გარემოს (A, B და C ტიპის სივრცეების) გამტარუნარიანობასა და ორცვლიან სამუშაო რეჟიმს.

პროგრამის შინაარსი და სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან და ორიენტირებულია კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე. საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს და აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ ყველა სტანდარტს.

პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია უმაღლესი დონის მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსებით. დაწესებულებას გააჩნია სრულყოფილად აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, სამედიცინო კაბინეტი და ხანძართან ბრძოლის სიმულაციური ტრენაჟორი. პრაქტიკული უნარების განსავითარებლად აქტიურად გამოიყენება სასწავლებლის საკუთრებაში არსებული საწვრთნელი გემი „კაპიტანი ო. ჩახვაძე“ და პარტნიორ ორგანიზაციებთან (მათ შორის შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“) გაფორმებული ხელშეკრულებები. სასწავლო პროცესს ემსახურება 31 სათანადო კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიული მასწავლებელი, რომელთა სამუშაო დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ 40 საათს, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხსა და მდგრადობას. ბიბლიოთეკა სრულად არის აღჭურვილი აუცილებელი სასწავლო მასალებით, ხოლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა და რეგულაციები უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა (სსსმ) შეუფერხებელ წვდომას ინკლუზიურ განათლებაზე. ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია ზუსტად გათვლილი ბიუჯეტითა და ვაუჩერული დაფინანსების მოდელით. კოლეჯში დანერგილია პროგრამის შეფასებისა და უწყვეტი განვითარების მძლავრი მექანიზმი, რომელიც დაფუძნებულია PDCA (დაგეგმვა-განხორციელება-შემოწმება-გაუმჯობესება) ციკლზე. პროგრამის შეფასება რეგულარულად ხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების, საერთაშორისო ტენდენციებისა და დაინტერესებული მხარეებისგან (სტუდენტები, მასწავლებლები, დამსაქმებლები) მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. სასწავლებელი სისტემატურად აანალიზებს სასწავლო პროცესის ეფექტურობას, სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლებსა და დამსაქმებელთა კმაყოფილებას. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, დაწესებულება მყისიერად ახდენს რეაგირებას და, მოქმედი შიდა პროცედურების სრული დაცვით, ახორციელებს საჭირო ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამასა და მეთოდოლოგიაში, რითაც უზრუნველყოფს სწავლების მუდმივ მოდერნიზაციას.

სასწავლო პროცესი პასუხობს სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლება მოიცავს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერაქტიული მეთოდების აქტიურ გამოყენებას. უზრუნველყოფილია მოქნილი გარემო, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომის უსაფრთხოებას; სასწავლო და პრაქტიკული წვრთნები მიმდინარეობს უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვითა და წინასწარი ინსტრუქტაჟით. შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, ობიექტური და სანდო. დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

მატერიალურ რესურსსა და სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრი ეკატერინე გიგაშვილი დაინტერესდა სასწავლო გემის ტევადობი და ეკიპაჟის შემადგენლობით. ექსპერტმა ნინო გორგოშაძემ განმარტა, რომ გემს, ძირითადი უსაფრთხო ეკიპაჟის (კაპიტანი, უფროსი მექანიკოსი და ოფიცრები) გარდა, შეუძლია 54 პირის (სტუდენტის) მიღება, რაც სრულად შეესაბამება ტექნიკურ მახასიათებლებსა და უსაფრთხოების ნორმებს. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ პრაქტიკის პროცესი ორგანიზებულია ცვლების პრინციპით, რაც საშუალებას იძლევა საკუთარ საწვრთნელ გემზე 100-მდე სტუდენტის გადამზადებას, ხოლო დანარჩენი ნაკადისთვის გამოყენებულია საზღვაო

ნავსადგურთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც დამატებით 10 გემზე წვდომას ითვალისწინებს.

სასწავლო პროცესით კმაყოფილებისა და სტუდენტებთან კომუნიკაციის საკითხზე, საბჭოს წევრმა ნათია ბუთხუზმა კითხვა დასვა იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი პროგრამის სტუდენტებთან შედგა გასაუბრება ვიზიტის ფარგლებში. ექსპერტმა თინათინ მეფარიშვილმა განმარტა, რომ ჯგუფმა მოინახულა მიმდინარე სალექციო პროცესები და გაესაუბრა როგორც სტუდენტებს, ისე კურსდამთავრებულებს. მისი თქმით, რესპონდენტებმა სასწავლო პროცესის მიმართ კმაყოფილება გამოხატეს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მექანიზმთან დაკავშირებით, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით გაცდენილი საათების აღდგენის პრაქტიკით. ექსპერტმა თინათინ მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას დოკუმენტურად გაწერილი აქვს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მექანიზმი, თუმცა ვიზიტის პერიოდში მისი პრაქტიკული გამოყენების კონკრეტული შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

აღნიშნულ თემაზე მსჯელობა განავრცო საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ. მან გამოთქვა შენიშვნა იმის შესახებ, რომ ხანგრძლივი ისტორიის მქონე დაწესებულებაში შიდა მობილობის ან ინდივიდუალური გეგმის საჭიროების მქონე შემთხვევების არარსებობა კითხვებს ბადებს პროცესების რეალურ დინამიკასთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ მხოლოდ გამართული რეგულაციის არსებობა არ არის საკმარისი დაწესებულების საქმიანობის სრულყოფილად შესაფასებლად, თუკი აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული აღსრულება არ დასტურდება.

ექსპერტმა თინათინ მეფარიშვილმა დაადასტურა, რომ შემოწმდა მხოლოდ არსებული მექანიზმი და ადმინისტრაციული პერსონალის მზაობა, ვინაიდან ინდივიდუალური გეგმების შემუშავების საჭიროება გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შესწავლისას არ გამოვლენილა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (ს/კ: 245539403) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ (**დანართი 4**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 თებერვალი.

მესამე საკითხი: შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინი მეფარიშვილმა, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სიპ – განათლების ხარისხი 2026 წლის 22 იანვრის ბრძანების MES7260000052377. საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 5 თებერვალს განახორციელა ავტორიზაციის ვიზიტი შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრიში (მისამართზე – ქ. ბათუმი, დავით მამულაძის ქ. N29). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტის მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამის

ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში არსებულ გარემოებებს და არგუმენტირებული პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

პროგრამის სახელწოდებაა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და იგი განეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს. მისი წარმატებით დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 1041. პროგრამა ოფიციალურად არის დამტკიცებული სასწავლებლის დირექტორის 2025 წლის 8 სექტემბრის შესაბამისი ბრძანებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ბათუმში, დ. მამულაძის ქუჩა N29-ში მდებარე დაწესებულების ბაზაზე. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით. ექსპერტთა ჯგუფის დადებითი შეფასების საფუძველზე, პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 144 სტუდენტით. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში, კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 67-ს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 97 კრედიტს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. პროგრამის შემუშავების პროცესში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო საზღვაო სტანდარტები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ არის რეგლამენტირებული და მოითხოვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტსა და შესაბამის სამედიცინო ცნობას. 144-კაციანი ზღვრული რაოდენობა ეფუძნება ზუსტ და ობიექტურ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო სივრცეების (A, B და C ტიპის გარემოები) გამტარუნარიანობასა და ორცვლიან სამუშაო რეჟიმს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სასწავლებელს მოწყობილი აქვს სპეციფიკური C გარემო, რომელიც აღჭურვილია გემის ძრავით, სახარატე მოწყობილობებით, სამაცივრე დანადგარებით, ჰიდრავლიკური და პნევმატიკის ლაბორატორიით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების სრულყოფილად გამომუშავებას. პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს მის შინაარსსა და მისაღწევ შედეგებს და ზედმიწევნით აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის განხორციელების რესურსების შეფასებისას დადგინდა, რომ იგი სრულად არის უზრუნველყოფილი უმაღლესი დონის მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური კაპიტალით. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოიყენება სპეციალურად აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, სამედიცინო კაბინეტი და ხანძართან ბრძოლის სიმულაციური ტრენაჟორი. პრაქტიკული კომპონენტის მაღალ დონეზე შესასრულებლად კოლეჯი იყენებს საკუთარ საწვრთნელ გემს „კაპიტანი ო. ჩახვამე“ და ნაყოფიერად თანამშრომლობს შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“. სასწავლო პროცესს ემსახურება 27 სათანადო კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიული მასწავლებელი, რომელთა სამუშაო დატვირთვა კანონმდებლობის სრული დაცვითაა გადანაწილებული და არ აღემატება 40 საათს. დაწესებულების ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა აუცილებელი მატერიალური და ელექტრონული რესურსით, ხოლო

ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია ვაუჩერული დაფინანსებითა და ზუსტად გათვლილი ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვარი 15 სტუდენტზეა განსაზღვრული.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების კუთხით, სასწავლებელში დანერგილია ხარისხის მართვის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც დაფუძნებულია უწყვეტი გაუმჯობესების (PDCA) ციკლზე. პროგრამის შეფასება რეგულარულად ხორციელდება შრომის ბაზრის კვლევებისა და დაინტერესებული მხარეებისგან, მათ შორის სტუდენტების, მასწავლებლებისა და დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. სასწავლებელი სისტემატურად ანალიზებს მიღებულ მონაცემებს და აფასებს სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლებსა თუ ზოგად კმაყოფილებას. გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევაში, დაწესებულება მყისიერად რეაგირებს და შიდა რეგულაციების სრული დაცვით ახორციელებს სათანადო ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამასა თუ სწავლების მეთოდოლოგიაში, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის უწყვეტ მოდერნიზაციასა და ხარისხის სტაბილურ ზრდას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების სისტემა სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლება მიმდინარეობს წინასწარ დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების აქტიური გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომის უსაფრთხოებას და უსაფრთხო გარემოს შექმნას, რისთვისაც რეგულარულად ტარდება სათანადო ინსტრუქტაჟები. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას. შეფასების სისტემა არის აბსოლუტურად გამჭვირვალე, ობიექტური და სანდო, რომელიც ეფუძნება შეფასების ინსტრუმენტების შიდა ვერიფიკაციის მწყობრ მექანიზმს. ყველა სათანადო დოკუმენტაცია ინახება 3 წლის ვადით. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მხოლოდ ქულების მინიჭებით არ შემოიფარგლება და მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების მოტივირებას, პროგრესის ანალიზს, თვითშეფასების უნარების ჩამოყალიბებასა და მათ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (ს/კ: 245539403) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ (**დ ანართი 5**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 თებერვალი.

მეოთხე საკითხი: სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, შორენა ხუბუნაია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბრის MES 2 25 0001645158 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მიმდინარე წლის 13, 14 და 15 იანვარს დაწესებულების პირობების

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება მისამართზე – ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №22., სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „დაწესებულება“, „უნივერსიტეტი“, „ბსუ“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, დაწესებულების ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, დაწესებულებაში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნებსა და საოქმო გადაწყვეტილებებს. 2025 წლის 23 დეკემბერს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის დაწესებულების მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიუების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილდა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

2026 წლის 13, 14 და 15 იანვარს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი დაწესებულებაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს (29-მდე პირი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს/თანახელმძღვანელებს (სულ 11-მდე პირი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (8 ობიექტის წარმომადგენელი), კურსდამთავრებულებს, სულ 21 – მდე პირს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხებიც ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების თაობაზე ანგარიში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, თუმცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ანგარიშის განხილვა ჯერ არ განხორციელებულა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ზოგიერთი რეკომენდაციისა და რჩევის შინაარსის მიმართულებით პროფესიული განათლების კონტექსტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია, როგორც ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის, ისე განმავითარებელი რეკომენდაციები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტის შეფასებით – პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების განვითარების ცენტრისა და უნივერსიტეტის ფუნქციონირება ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრული თანამშრომლობისა და რესურსების გაზიარების მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების, აკადემიური და ადმინისტრაციული საქმიანობის შეუფერხებელ, ეფექტიან და დამოუკიდებელ

განხორციელებას. არსებული კვეთა არ წარმოადგენს რისკს არც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხისთვის და არც ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობისთვის. პირიქით, იგი ქმნის დამატებით ღირებულებას რესურსების ოპტიმალური გამოყენების გზით.

ცენტრი და უნივერსიტეტი სარგებლობენ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ბაზით. მოქმედი აუდიტორიების გამოყენება ხორციელდება წინასწარ გაწერილი გრაფიკისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად. სასწავლო სივრცეების განაწილება უზრუნველყოფს დროისა და ფუნქციური დატვირთვის მკაფიო გამიჯვნას, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესების გადაკვეთა-დარღვევას. აუდიტორიები სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების მიხედვით და აკმაყოფილებს პროფესიული განათლების სტანდარტებს.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა პროფესიულ ცენტრსა და უნივერსიტეტში ხორციელდება დამოუკიდებლად, თუმცა კოორდინირებულად. ცხრილები ფორმირდება ცენტრალიზებული დაგეგმვის მექანიზმით, რაც უზრუნველყოფს რესურსების რაციონალურ გამოყენებას და გამორიცხავს დროით კონფლიქტებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სწავლების უწყვეტობას და სტუდენტზე/პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

ცენტრსა და უნივერსიტეტს ჰყავთ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ადამიანური რესურსის გაზიარება, ეს ეფუძნება ფორმალიზებულ შეთანხმებებსა და მკაფიოდ განსაზღვრულ ფუნქციურ მოვალეობებს. პერსონალის ჩართულობა განათლების ორივე საფეხურზე (პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და არ აზიანებს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხს, ვინაიდან დატვირთვა, პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება მკაფიოდ არის დადგენილი.

სასწავლო მასალები, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსები ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას დამოუკიდებელი, უნივერსიტეტისგან გამიჯნული სასწავლო სივრცე გააჩნია, პროფესიულ სტუდენტებს, საჭიროებისამებრ, შესაძლებლობა აქვთ, გამოიყენონ ცენტრალური ბიბლიოთეკის, კომპიუტერული და ა.შ. სასწავლო რესურსები. რესურსების გაზიარება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრებას, ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვას და ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. ამასთან, დაცულია რესურსების გამოყენების აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზმები.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

IV სტანდარტი შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით, რადგან ინდიკატორი 4.1.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად.

V სტანდარტი შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით, რადგან:

ინდიკატორი 5.1.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები.

ინდიკატორი 5.2.1.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხისმგებელი პირი, თუმცა პრაქტიკაში არ ხდება შესაბამისი მექანიზმების ჯეროვნად განხორციელება.

II სტანდარტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების – „საბიბლიოთეკო საქმე“, „აღმზრდელი“; „საექთნო განათლება“; „ბულალტრული აღრიცხვა“; „საფინანსო სერვისები“ შემთხვევაში შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით, რადგან ინდიკატორი 2.2.1.2 მეტწილადაა

დაკმაყოფილებული, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა სრულად ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება **განმავითარებელი რეკომენდაცია I-V სტანდარტის ფარგლებში**

რეკომენდებულია დაწესებულებამ პრაქტიკაში დანერგოს შიდა მარეგულირებელი აქტების გეგმიური რევიზიის პრაქტიკა წელიწადში არანაკლებ ერთხელ, ხოლო საკანონმდებლო ცვლილებების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ცვლილებების ასახვა შიდა მარეგულირებელ აქტებში და უზრუნველყოს პერსონალის ინფორმირება ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე, უზრუნველყოს პერსონალთან შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობების ფორმალიზება და მართვა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული აქტივობის განხორციელების მიზნებისათვის უნივერსიტეტის იურიდიულმა სამსახურმა გააძლიეროს მუშაობა ან ცენტრმა უზრუნველყოს ცენტრის პერსონალის შემადგენლობის გაზრდა.

რეკომენდებულია დაწესებულებამ პრაქტიკაში დანერგოს პერსონალის პირადი საქმეების გეგმიური რევიზიის პრაქტიკა წელიწადში არანაკლებ ერთხელ. უზრუნველყოს პერსონალის ინფორმირება მათ პირად და პროფესიულ განვითარებაში განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს პირადი საქმეების განახლების მიზნით მათი წარდგენა უფლებამოსილ პირთან. აღნიშნული აქტივობის განხორციელების მიზნებისათვის უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა გააძლიეროს მუშაობა ან ცენტრმა უზრუნველყოს ცენტრის პერსონალის შემადგენლობის გაზრდა/არსებული პერსონალისთვის უფლება-მოვალეობების დელეგირება.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, თუმცა რეკომენდებულია მიმდინარე წლის საქმიანობის შეჯამება და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება მოხდეს კალენდარული წლის ბოლოს – დეკემბრის თვეში, ხოლო მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცდეს მომდევნო წლის იანვრის პირველ სამუშაო დღეებში, რაც ერთწლიანი აქტივობების განხორციელებისთვის რელევანტურ ვადებს უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, თუმცა რეკომენდებულია წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშის ფორმა იძლეოდეს აქტივობის შესრულების შეფასების შესაძლებლობას დაგეგმვისას განსაზღვრულ შესრულების ინდიკატორებთან მიმართებით.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, თუმცა რეკომენდებულია პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი მოიცავდეს პროფესიულ სტუდენტთა მიღების დაგეგმვის, შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურულ საკითხებს, თითოეულ პროცესზე პასუხისმგებელ პირებს, ვადებს და სხვა ინფორმაციას “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანების შესაბამისად.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. თუმცა, რეკომენდებულია დაწესებულებამ დაამატოს 1 სამტატო

ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განხორციელებაზე და ექნება შესაბამისი კომპეტენცია, პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებაზე ზრუნავს სხვადასხვა დასაქმებულები (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პრაქტიკის კოორდინატორი), პროცესი საჭიროებს თანმიმდევრულ და მიზნობრივ ღონისძიებებს, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებას, ისე დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარებას.

ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა რეკომენდებულია პერსონალის პირადი საქმეების განახლება და სრულყოფა.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის პროცედურები, შეიმუშაოს შესაბამისი სამუშაო ფორმები (დაგეგმვის, ანგარიშგებისა და შეფასების) და გამოიყენოს პრაქტიკაში, რაც ხელს შეუწყობს გამოსაცდელ პერიოდში დასაქმებულის წარმატებულ ინტეგრაციასა და ადაპტაციას დაწესებულების სამუშაო გარემოსთან და პერსონალის შენარჩუნებას.

ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს „ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის შიდა პროცედურული დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება კანონმდებლობის მოთხოვნებთან, ასევე რეკომენდებულია ცენტრმა შეიმუშაოს ცენტრის მატერიალური რესურსების მართვის (მიღება, შენახვა, შეფასება, განახლება და გამოყენება) პროცედურული დოკუმენტი, რომელსაც გამოიყენებს პრაქტიკაში.

ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულად უზრუნველყოს შემოსული კორესპოდენციის რეგისტრაცია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები – ფარმაცია (სააფთიაქო); საბიბლიოთეკო საქმე; საექთნო განათლება; ბულალტრული აღრიცხვა; საფინანსო სერვისები; აღმზრდელი:

ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები შეინახოს უვადოდ, რადგან ეს ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც რჩება დაწესებულებაში და წარმოადგენს დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომის საფუძველს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები – საბიბლიოთეკო საქმე; აღმზრდელი; საექთნო განათლება; ბულალტრული აღრიცხვა; საფინანსო სერვისები:

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა აწარმოონ პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიო.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მოცემულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციებს. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს გარკვეული მტკიცებულებები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების, მათ შორის შიდა მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილებები/შემუშავებული ახალი წესი და სხვა.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მისია სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებს, რაც გულისხმობს ქვეყნის მდგრადი განვითარების, სოციალური კეთილდღეობისა და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობას. უნივერსიტეტის მისია მკაფიოდ განსაზღვრავს მის მრავალპროფილურ ბუნებას და ხაზს უსვამს დაწესებულების განსაკუთრებულ როლს რეგიონულ კონტექსტში, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის შესწავლასა და შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების კვლევაში. მისიით განსაზღვრული ხედვა და ღირებულებები, როგორცაა ჰუმანიზმი, აკადემიური კეთილსინდისიერება, ინკლუზიურობა და ტოლერანტობა, საფუძვლად უდევს საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

დაწესებულების სტრატეგიული დოკუმენტები და ხედვა საჯაროდ ხელმისაწვდომია და შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით. 2024 წელს განხორციელებული რედაქციული ცვლილებები ასახავს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებისა და თვითშეფასების შედეგებს, რაც ადასტურებს მართვის პროცესის დინამიკურობასა და გამჭვირვალობას. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი წარმოადგენს იმ ძირითად ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპის რეალიზებას და მჭიდრო თანამშრომლობას დამსაქმებლებთან, რაც საბოლოო ჯამში მიმართულია სტუდენტთა მხარდაჭერასა და კარიერულ განვითარებაზე.

სტრატეგიული დაგეგმვის კუთხით, უნივერსიტეტში დანერგულია მყარი მეთოდოლოგია, რომელიც შვიდწლიან ციკლურ განვითარებასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს ეფუძნება. ეს პროცესი თანამონაწილეობითია და მასში ჩართულია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ადმინისტრაციას, ხარისხის მართვის მენეჯერებს, დამსაქმებლებსა და მასწავლებლებს. დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა SWOT ანალიზსა და შრომის ბაზრის კვლევას, რაც უზრუნველყოფს დასახული მიზნების რელევანტურობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2025 წლის სამოქმედო გეგმაში გარკვეული ამოცანების ასახვა პერსონალის ცვლილების გამო ფორმალურ გამოწვევას წარმოადგენდა, პრაქტიკული აქტივობები, როგორცაა რესურსებით უზრუნველყოფა, შეუფერხებლად ხორციელდებოდა.

მონიტორინგისა და შეფასების სისტემა დაწესებულებაში კვარტალურ და სამწლიან ციკლებს მოიცავს, რაზეც პასუხისმგებელია რექტორის მოადგილის ხელმძღვანელობით მოქმედი მონიტორინგის ჯგუფი. შეფასების პროცესში გამოიყენება პროგრეს-ანგარიშები, რომლებიც საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს ხარვეზები და შემუშავდეს მაკორექტირებელი რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა მონიტორინგის არსებული პრაქტიკა, თუმცა ყურადღება გამახვილდა ანგარიშების ფორმების დახვეწის საჭიროებაზე, რათა ისინი უფრო მკაფიოდ ასახავდნენ კავშირს შესრულებულ აქტივობებსა და წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს შორის.

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა ორი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. პირველი ეხება დაგეგმვის უწყვეტობის უზრუნველყოფას, კერძოდ, მიზანშეწონილია მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება დასრულდეს დეკემბერში, ხოლო დამტკიცება მოხდეს იანვრის პირველ სამუშაო დღეებში. მეორე რეკომენდაცია კი შეეხება წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშის ფორმებს, რომლებიც უნდა იძლეოდეს აქტივობის შესრულების შეფასების შესაძლებლობას დაგეგმვისას განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებით. აღნიშნული მიდგომა გააძლიერებს დაწესებულების ხარისხის კულტურას და უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების უფრო ეფექტურ მონიტორინგს.

პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და მათი უფლებების დაცვის მექანიზმების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს მყარი სამართლებრივი ბაზა, რომელიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სტუდენტთა უფლებები და გარანტიები ასახულია უნივერსიტეტის წესდებაში, შინაგანაწესში, ეთიკის კოდექსსა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან თავიანთი უფლებების, მათ შორის შეფასების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, თუმცა პრაქტიკაში გასაჩივრების შემთხვევები არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინკლუზიურ განათლებას და საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტთა ჩართულობით, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რაც ხელს უწყობს მათ სოციალურ ადაპტაციასა და ინტეგრაციას.

ამავე კონტექსტში, მნიშვნელოვანია ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ არსებული რეგულაციები აკმაყოფილებს სტანდარტს, მიზანშეწონილია ჩარიცხვის წესი უფრო დეტალურად მოიცავდეს მიღების დაგეგმვის, შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურულ საკითხებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს. ეს ცვლილება უზრუნველყოფს პროცესის სრულ თანხვედრას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის N42/ნ ბრძანებით დადგენილ სტანდარტებთან. ექსპერტებმა ასევე დაადასტურეს, რომ სტუდენტებთან, მათ შორის არასრულწლოვნებთან, გაფორმებული ხელშეკრულებები სრულად იცავს მათ კანონიერ ინტერესებს და მოიცავს ყველა საჭირო სამართლებრივ ასპექტს.

სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის კუთხით, უნივერსიტეტი ეფექტურად იყენებს „პროფესიული სტუდენტის გზამკვლევს“ და სისტემატურად ატარებს საორიენტაციო შეხვედრებს. ადმინისტრაციული მხარდაჭერა ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს კორესპონდენციის გონივრულ ვადებში დამუშავებას. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა მაღალი კმაყოფილება (94.3%) ადმინისტრაციული სერვისების მიმართ. განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტის რეაგირება სტუდენტთა უკუკავშირზე, რის საფუძველზეც გაუმჯობესდა ინტერნეტის ხარისხი, მოეწყო თანამედროვე მოსასვენებელი და კვების სივრცეები, დაიდგა წყლის აპარატები და მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, რაც პირდაპირ პასუხობს გამოვლენილ საჭიროებებს.

არაფორმალური განათლებისა და სტუდენტური ინიციატივების წახალისების მიზნით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს მრავალფეროვანი კლუბები, მათ შორის დებატების, ინტელექტ-კლუბი, ფოტო-ვიდეო ხელოვნების, მოხალისეთა და ლიტერატურული წრეები. სტუდენტები სარგებლობენ სხვადასხვა სახის წახალისების მექანიზმებით, როგორცაა აგრო-სტიპენდიები, სოციალური პრემიები და საერთო საცხოვრებელი უზრუნველყოფა. ექსპერტთა ვიზიტისას დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო ფესტივალებსა და ეროვნულ კონკურსებში, რაც ხელს უწყობს მათი პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარებას სასწავლო პროცესის მიღმა.

კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ინსტიტუციურად გამართულია და მას შესაბამისი დეპარტამენტი და საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი უძღვება. სტუდენტები და კურსდამთავრებულები მუდმივად იღებენ ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ სპეციალური ელექტრონული პლატფორმებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა და დასაქმების ფორუმების ორგანიზება ზრდის სტუდენტთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. ხარისხის მართვის მენეჯერი სისტემატურად ატარებს დასაქმების მონიტორინგსა და კმაყოფილების კვლევებს, რომელთა ანალიზი საფუძვლად უდევს მომსახურების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ანალიზთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ფუნქციურად გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, როგორც დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული, მკაფიოდ განსაზღვრული დებულებითა და სამუშაო

აღწერილობებით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებას. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილება, რაც მოიცავს როგორც ცენტრის შიდა პერსონალს, ისე უნივერსიტეტის საერთო სამსახურებს (იურიდიული, საფინანსო, საქმისწარმოება), ქმნის მყარ საფუძველს დასახული მიზნების მისაღწევად. ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპითაა აგებული, რაც პერსონალთან ინტერვიუების დროსაც დადასტურდა. თუმცა, პროცესების კიდევ უფრო მეტი ეფექტიანობისთვის, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას, დაემატოს ერთი საშტატო ერთეული, რომელიც უშუალოდ პროფესიულ სტუდენტთა კარიერულ მხარდაჭერაზე იქნება ორიენტირებული, რათა დასაქმების ხელშეწყობის პროცესი გახდეს უფრო მიზნობრივი და თანმიმდევრული.

პერსონალის მართვის პოლიტიკისა და შრომითი ურთიერთობების შეფასებისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ხარვეზები სამართლებრივ შესაბამისობაში. მიუხედავად იმისა, რომ შერჩევისა და მიღების პროცედურები ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს ეფუძნება, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ორგანულ კანონთან – შრომის კოდექსთან. კერძოდ, ხელშეკრულებებში არსებული ჩანაწერები შრომის ანაზღაურების (ტარიფის) ცვლილებისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ არ აკმაყოფილებს არსებითი პირობების შეცვლისა და განსაზღვრის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. ასევე, ხელშეკრულების საგანი ხშირად არ მოიცავს ყველა იმ მოდულს, რომელსაც პერსონალი რეალურად ახორციელებს. დაწესებულებამ აღიარა აღნიშნული ხარვეზები და წარმოადგინა 6-თვიანი გეგმა ხელშეკრულებებისა და ფუნქციური აღწერილობების სრულყოფისთვის, რაც ექსპერტთა შეფასებით რელევანტური ვადაა მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამასთან, რეკომენდებულია პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგება, რათა დაცული იქნეს კანონით განსაზღვრული შეზღუდვები სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ და თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი პერსონალური მონაცემების დამუშავება.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. თუმცა, რეკომენდებულია დაწესებულებამ დაამატოს 1 საშტატო ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განხორციელებაზე და ექნება შესაბამისი კომპეტენცია, პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებაზე ზრუნავს სხვადასხვა დასაქმებულები (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პრაქტიკის კოორდინატორი), პროცესი საჭიროებს თანმიმდევრულ და მიზნობრივ ღონისძიებებს, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებას, ისე დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარებას.

პერსონალის განვითარების კუთხით, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს შეფასების სისტემასა და საჭიროებათა კვლევას, რაც საფუძველად უდევს პროფესიული წინსვლის დაგეგმვას. დემინგის ციკლის პრინციპით (დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გაუმჯობესება) მართული ხარისხის სისტემა უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის მონიტორინგს, რის შედეგადაც გამოიყენება როგორც მონეტარული, ისე არამონეტარული სტიმულირების მექანიზმები. ბოლო წლებში განხორციელებული მრავალფეროვანი ტრენინგები, დაწყებული ლიდერობის საკითხებიდან და დამთავრებული პირველადი დახმარების კურსებით, ადასტურებს დაწესებულების ორიენტაციას პერსონალის კომპეტენციების ამაღლებაზე. ასევე წახალისებულია ინდივიდუალური ინიციატივები, რაც უნივერსიტეტის მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსებით გამოიხატება.

ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მიმართულებით, უნივერსიტეტში მოქმედებს ადაპტაციის პოლიტიკა, თუმცა გამოიკვეთა მისი პროცედურული გაწერის საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ ახლად დასაქმებული პერსონალი კმაყოფილია სამუშაო გარემოთი, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს ადაპტაციის პროცესის ფორმალიზებას. კერძოდ, რეკომენდებულია შემუშავდეს სპეციალური სამუშაო ფორმები (დაგეგმვის, ანგარიშგებისა და შეფასების), რომლებიც გამოიყენება გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში. ეს უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლისთვის შესასრულებელი სამუშაოს მკაფიოდ განსაზღვრას, მისი პროგრესის ობიექტურ შეფასებას და უკუკავშირის მიღებას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს კადრების შენარჩუნებასა და ორგანიზაციულ კულტურაში მათ წარმატებულ ინტეგრაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ფლობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ინფრასტრუქტურას, რომელიც სრულად პასუხობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების საჭიროებებს. გ. ლეონიძის ქუჩაზე მდებარე სამსართულიანი შენობა აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის აუცილებელი ყველა სივრცით, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიებით, სამედიცინო კაბინეტითა და მოსასვენებელი ოთახებით. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია შშმ პირთათვის, რაც მოიცავს როგორც სანიტარულ კვანძებს, ისე საერთო სარგებლობის სივრცეებს. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური ბაზა მდიდარია, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია შიდა პროცედურული დოკუმენტების დახვეწის შესახებ, რაც გულისხმობს ინვენტარიზაციისა და რესურსების მართვის (მიღება, შენახვა, განახლება) უფრო მკაფიო მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას.

უსაფრთხოების კუთხით, დაწესებულებაში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა და სახანძრო უსაფრთხოების პოლიტიკა, რაც დასტურდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნით. თუმცა, შენობის კონსტრუქციული მდგრადობის შეფასებისას გამოვლინდა, რომ წარმოდგენილი დასკვნა არ იყო გაცემული სერტიფიცირებული ექსპერტის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. უნივერსიტეტმა ოპერატიულად მოახდინა რეაგირება ამ მიგნებაზე და შეიმუშავა 6-თვიანი გეგმა, რომლის ფარგლებშიც მომზადდება შენობის მდგრადობის ახალი, უფლებამოსილი დასკვნა. პირველადი დახმარებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები 24-საათიან რეჟიმში ფუნქციონირებს, რაც ქმნის უსაფრთხო გარემოს როგორც პერსონალის, ისე პროფესიული სტუდენტებისათვის.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა დაწესებულების ერთ-ერთი ძლიერი მხარეა, რაც მოიცავს სერვერულ უზრუნველყოფას, ქსელური დაცვის ეკრანებსა და მრავალფეროვან ელექტრონულ სერვისებს. უნივერსიტეტში წარმატებით გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, „eflow“ სისტემა და სხვადასხვა სასწავლო პლატფორმები. თუმცა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით გამოიკვეთა საჭიროება, რომ პრაქტიკაში დაინერგოს პერსონალისა და სტუდენტებისგან წერილობითი თანხმობის მოპოვების ფორმები მონაცემთა დამუშავების თაობაზე. საქმისწარმოების პროცესში კი რეკომენდებულია, რომ პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა განცხადებებიც სრულად აისახოს ელექტრონულ სისტემაში, როგორც შემოსული კორესპონდენცია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სრულ გამჭვირვალობას.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის კუთხით, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებს, სადაც ინფორმაცია განთავსებულია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი რეგულარულად ახლდება და დაინტერესებულ პირებს აწვდის უტყუარ ინფორმაციას სწავლის პირობების შესახებ. ბიბლიოთეკა, რომელიც ჩართულია საერთაშორისო ქსელებში,

მომხმარებელს სთავაზობს როგორც მატერიალურ, ისე მდიდარ ელექტრონულ რესურსებს. დაწესებულება სისტემატურად აანალიზებს მიღებულ უკუკავშირს და იყენებს მას მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის დასტურია.

ფინანსური რესურსების მართვა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მდგრადობასა და სტრატეგიული გეგმების სრულფასოვან განხორციელებას. საოპერაციო ხარჯები და დაგეგმილი აქტივობები სრულად არის დაფარული ბიუჯეტით, ხოლო ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასება და მასზე რეაგირების მექანიზმები დაწესებულებას აძლევს საშუალებას, ეფექტურად მართოს რისკები. მთლიანობაში, მეხუთე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო გაცემული რეკომენდაციები მიმართულია არსებული სისტემის კიდევ უფრო მეტი ფორმალიზებისა და სამართლებრივი სრულყოფისაკენ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ფარმაცია (სააფთიაქო)

საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ (კოდი 0916) წარმოადგენს მეხუთე დონის პროფესიულ კვალიფიკაციას, რომელიც მიზნად ისახავს ჯანდაცვის სფეროსთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქუჩის #15-ში მდებარე სასწავლო კორპუსში. სწავლების ფორმა არის კოოპერაციული, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალურ სამუშაო გარემოში წარმართვას. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 123 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, სახელმწიფო ენის მოდულების გათვალისწინებით – 153 კრედიტით. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 80 პირის ოდენობით, რაც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვას და შეესაბამება დაწესებულების რესურსულ შესაძლებლობებს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზს. აჭარის რეგიონში ფარმაცევტულ სერვისებზე მზარდი მოთხოვნა დასტურდება ბათუმსა და მის შემოგარენში არსებული 200-ზე მეტი აფთიაქისა და კლინიკური ფარმაციის ობიექტების ფუნქციონირებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო შერჩევის პროცესი მოიცავს მოტივაციურ გასაუბრებას, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი პოტენციალის მქონე პირთა მობილიზებას. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს არჩევით მოდულს „მზა სამკურნალწამლო ფორმები“, რაც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სტუდენტის მომავალ პროფესიულ საქმიანობასთან.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად პასუხობს სწავლების თანამედროვე სტანდარტებს. უნივერსიტეტში მოწყობილია სპეციალიზებული A, B და C სასწავლო გარემოებები, მათ შორის აფთიაქის მოდელი (აუდიტორია #310), სამედიცინო და ბიოლოგიურ-ანატომიური კაბინეტი (#304) და ქიმიურ-ბიოლოგიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია (#309). პრაქტიკული კომპონენტის რეალიზებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები მსხვილ ფარმაცევტულ ქსელებთან – სს „გეფასთან“, შპს „ავერსთან“ და შპს „პსპ-სთან“, რაც ჯამში 120-მდე სტუდენტის ერთდროული პრაქტიკული მომზადების შესაძლებლობას იძლევა. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, ხოლო ნორმატიულ აქტებზე მუდმივ წვდომას უზრუნველყოფს „საკანონმდებლო მაცნესთან“ არსებული ხელშეკრულება.

პროგრამის მდგრადობას განაპირობებს 25 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 18 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც პროცესის უწყვეტობის გარანტიაა.

პროგრამას ხელმძღვანელობენ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი და თანახელმძღვანელი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სწავლების მონიტორინგში. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა მდგრადია – მისი რენტაბელობის ზღვარი 14 სტუდენტზე გადის, რაც საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, რაც მოიცავს როგორც ფიზიკურ ინფრასტრუქტურას (ლიფტები, სპეცმოწყობილობები), ისე ადაპტირებულ ელექტრონულ რესურსებს.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეყრდნობა სისტემურ PDCA ციკლს და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მუდმივ ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის დახვეწის შესახებ, რათა იგი უფრო დეტალურად ფარავდეს მინისტრის #42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პროცედურულ საკითხებს. ასევე, გამოიკვეთა საჭიროება შეფასების უწყისების უვადოდ შენახვის შესახებ, ნაცვლად მოქმედი 25-წლიანი ვადისა, ვინაიდან ეს დოკუმენტი დიპლომის გაცემის უალტერნატივო საფუძველს წარმოადგენს. უსაფრთხოების ნორმები ლაბორატორიებში დაცულია მაღალ დონეზე, მათ შორის უზრუნველყოფილია ქიმიური ნარჩენების უტილიზაციის გამართული სისტემა.

სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება ორგანიზებულია მოქნილად, სწავლების თანამედროვე მეთოდების (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, როლური თამაშები) გამოყენებით. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, ხოლო შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს ხარისხის მუდმივ კონტროლს. განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სტუდენტებს აძლევს დროულ უკუკავშირს მათი პროფესიული ზრდისთვის. მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სათანადო ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საბიბლიოთეკო საქმე

